ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 2021 | №173 (8702) | ფასი: 60 თეთრი

## „მთავარის“ ოპერატორი ლევან აბლოთია ქარელში „ოცნებამ“ მეორე სართულიდან გადააგდო“



გვ.2

მამუკა მდინარაძე: „ბექა ყორშია იტყუება“

# „ოცნება“ ჩანაწერების გამოტანას გახარიას აბრალებს“



## პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლების მიზანია, მომავალში ეკლესია არ იყოს ანგარიშგასაწევი ძალა“



გვ.3

„ჭორიკნობასა და სხვისი საუბრების მოსმენაში იხარჯება მილიონები“

## „მთელი პოლიტიკური სპექტრი ოკუპირებულია“



გვ.2

იაგო ხვიჩია: „წარმოიდგინეთ, რამდენ პოლიტიკოსზე, ჟურნალისტზე, საჯარო თუ სასულიერო პირზე არსებობს კომპრომატები, რომელიც ცოტა ხანში მტერსაც ექნება“



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ჩანაწერების გამომტანი პოლიტიკური ინტერესით მოქმედებდა, მაგრამ ვინც ჩაწერა, ის რა ინტერესით მოქმედებდა?! ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს“

## რატომ მოქმედებენ სპეცსამსახურები კანონს მიღმა?!

## „ნაცებსა და „ოცნებას“ შორის უფრო მშვიდი და კეთილი ურთიერთობაა, ვიდრე შიგნით „ოცნებაში“





გვ.4

ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილი დისკომფორტს არ შეიქმნის და არ ჩამოვა“

## ოკუპირებული აფხაზეთიდან ქართულ ენას ბჟანიაც დევნის

გვ.4





## სოსო გოგაშვილი: „სუსიდან მასალების გამოტანა მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირს შეეძლო“

გვ.5

ISSN 1987-9385

9 771987 938006

5 სუსი კარლ პარცელსაც უსმენდა

5 „ეს ძარცვა გამიჩალიჩეს“ ერაყში შეიხის ძარცვაში ეჭვმიტანილი ქალი თბილისში ჩამოვიდა

2 ნოდარ მელაძე: „პროკურატურაში უცნაური კითხვები დამისვეს“

5 თბილისში, ვერაზე კანონიერი ქურდის შვილი ჩაცხრილეს

6 ამერიკელ ჯარისკაცებს ვაქცინაციაზე უარის შემთხვევაში დათხოვნა ემუქრებათ

# „მთელი პოლიტიკური სპექტრი ოკუპირებულია“

## იაგო ხვიჩია: „წარმოიდგინეთ, რამდენ პოლიტიკოსზე, ჟურნალისტზე, საჯარო თუ სასულიერო პირზე არსებობს კომპრომატები, რომელიც ცოტა ხანში მტერსაც ექნება“

იაგო ნაცვლიშვილი

**ჩანაწერებთან დაკავშირებული სკანდალი დაბრალდება თუ არა გიორგი გახარიას და დაიჭერენ თუ არა მისი გუნდის წევრებს? რა საფრთხეები გამოჩნდა ამ სკანდალით და რა მასალები აქვს რუსეთს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გირჩის“ თავმჯდომარე იაგო ხვიჩია საუბრობს.**



**იაგო ხვიჩია:**

– მე მგონი ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილია, რომ ჩვენ ვართ პოსტსაბჭოთა ქვეყანა. პოსტსაბჭოთა ქვეყანა ნიშნავს იმ ქვეყანას, რომელსაც მართავენ სპეცსამსახურები, ან ძალოვანი უწყებები და არა პოლიტიკოსები. ამ თვალსაზრისით ახალი არაფერია.

ხელისუფლება რას ცდილობს, ეს არ ვიცით და ზოგადად ბევრი რამე ჯერ არ ვიცით ამ ფაქტთან დაკავშირებით. ერთადერთი ვიცით ის, რომ გვისმენდნენ და რაც გადაიღეს, იმასაც ვერ მოუარეს. ის, რაც ქართული სპეცსამსახურების მიერ იყო გადაღებული ვიღაცის „დავერბორკების“ მიზნით, ეს მასალა ხვალ შეიძლება გამოყენებული იყოს უცხო ქვეყნის, მათ შორის ოკუპანტი ქვეყნის მიერ პოლიტიკოსების, ჟურნალისტების თუ სასულიერო პირების დასაშანტაჟებლად. გასაგებია, რა ტიპის პრობლემა შეიძლება შექმნას ამან მომავალში. ამიტომ არ უნდა გადაიღო ასეთი კადრები.

***– სიგნალები იყო გუშინ და ხომ არ ფიქრობთ, რომ მთელ ჯოხს გახარიასკენ მიმართავენ და მასზე გადაბრალება იქნება?***

– ყველაფერს ველოდები და აწი ცხადია, რომ როგორც წინა ხელისუფლება ცდილობდა, რომ სხვისთვის დაებრალებინა და ნაკლებად აელო პასუხისმგებლობა, ზუსტად იგივე მოხდება ამ შემთხვევაშიც. ფაქტია, რომ გახარიას ამბავია თუ ვისი ამბავიც არ უნდა იყოს, იმ პერიოდში, როდესაც გახარია იყო თანამდებობაზე, ეს „ოცნების“ პასუხისმგებლობაც არის. გარდა ამისა, ფაქტია, რომ ხელისუფლებას ბევრი მიმართულებით აქვს პრობლემები. გუნდის შიგნითაც ყველას უსმენდნენ და კაცმა არ იცის, ვის ვისზე რა კომპრომატები აქვს მოგროვებული, რომლის გამოყენება საერთოდ არ გინდა ფიზიკურად. ფაქტია, რომ წინა ხელისუფლების მსგავსად, საკუთარ გუნდზეც აგროვებდნენ მასალებს, ასევე იმ ხალხის მიმართ, ვისაც საჯაროდ ძმობას ეფიცებოდნენ. ამ შემთხვევაში სასულიერო პირებს ვგულისხმობ.

***– როგორც ირკვევა, მათ შორის დიპლომატებსაც უსმენდნენ. ამას რა როლი და რა გამოხმაურება ექნება საერთაშორისო ასპარეზზე?***

– არ ვიცი. ალბათ ყველა უნდა დაველოდოთ, რა გამოხმაურებაც ექნება, მაგრამ რაც არ უნდა ჰქონდეს, ჩვენი ამოცანაა, რომ ქართველმა ხალხმა ამაზე უარი თქვას არჩევნებზე. ამაში შემჩნეული ორი ხელისუფლება გვყავს – წინა და ახლანდელი. ორივეს პასუხისმგებლობაა და ჩვენი ამოცანაა, რომ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა თქვას ამ ორზე უარი, რომლებიც ასე მართავდნენ ქვეყანას. ერთმა დაიწყო მისი გამოყენება და მეორემ არც კი მოშალა ეს ბოროტი, ანტიქართული და არაადამიანური ინსტიტუტი.

***– არ მოშალა თუ გადაიბარა?***

– ერთიც და მეორეც. აქამდეც რაც ვიცოდით, ეს ერთი თემა იყო, მაგრამ ახლა უკვე ყველასთვის თვალნათელი გახდა, რომ რაც უფრო ტექნოლოგია ვითარდება, მით უფრო აგროვებენ ერთმანეთზე კომპრომატებს ჩვენი ძვირფასი პოლიტიკოსები.

***– უნდა ველოდოთ, რომ ვიღაცებს დააკავებენ, მათ შორის გახარიას გუნდიდანაც? თავად ელოდებიან, მაგალითად, საბანაძისა და ხოჯევანიშვილის დაკავებებს.***

– წარმოდგენა არ მაქვს, მე არ ვიცნობ „ოცნების“ შიდა ინფრასტრუქტურას. მათ შორის, არც გახარიასთან მიმართებით. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება, მაგრამ არა მგონია, რომ ჩვენ გვქონდეს ისეთი მართლმსაჯულების სისტემა, რომ ვინმეს დაკავება წარმოშვას. ეს ისეთი საქმეებია, რომ ვერავის ვერ დასჯი, ისეთი სიტუაციაა ახლა. მე დღეს ვერც გამოძიების პოტენციალს ვხედავ ამ ქვეყანაში ამ მოცემულობით, არც სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების და არც გასამართლების. ჩემი აზრით, ახლა რისი გააზრებაც გვიწევს, არის ის, რომ ეს პოლიტიკური სპექტრი – წინა და დღევანდელი – ფიზიკურად არიან ამ საქმეში ჩართულები და მგონია, რომ ადამიანებმა ნდობა მათ არ უნდა გამოუცხადონ. მე ეს მგონია სწორ მიმართულებად.

***– უკვე ტოლობის ნიშანი დაისვა „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის?***

– ტოლობის ნიშანი რას ნიშნავს?! ფაქტია, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ყველამ დავინახეთ, რომ რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა, იგივეს აკეთებს ეს ხელისუფლება. შესაძლოა სხვადასხვა მიმართულებებით განსხვავებები ბევრი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც მაშინ ხდებოდა ძალაუფლების შესანარჩუნებლად თვალთვალი და მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვება, ისე ხდება ახლაც. ახლა ამან გამოჟონა და ჩემი აზრით, ორივე ხელისუფლება, წინაც და ახლანდელიც, პასუხისმგებელია ამაზე.

დარწმუნებული ვარ, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმაც იციან ყველაფერ ამის შესახებ. წარმოიდგინეთ, რამდენ პოლიტიკოსზე, ჟურნალისტზე, საჯარო თუ სასულიერო პირზე არსებობს კომპრომატები, რომელიც ცოტა ხანში მტერსაც ექნება. წარმოიდგინეთ, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრი ასეთ მდგომარეობაშია.

***– ნაციონალური მოძრაობის დროსაც ასე ხდებოდა, რომ რუსეთის ხელში მაშინაც ხვდებოდა მასალები, თუ ეს განსხვავებაა ახლა?***

– როდესაც შენ ბრძანებას გასცემ, რომ ასეთი რაღაცა გადაიღო, სინამდვილეში დაშვებას უშვებ, რომ ასეთი მასალა აუცილებლად მოხვდება რუსული სპეცსამსახურების ხელში. არ ვიცი, ეს ხდება შეცდომით, გაუაზრებლად თუ მიზნის გარეშე, მაგრამ ეს ასეა და ამიტომ არ შეიძლება ეს ყველაფერი. აკეთებ იმას, რომ პირებს, რომლებსაც გავლენა აქვს ამ ქვეყანაზე, მათზე აგროვებენ კომპრომატებს.

ჩვენ ეს მესიჯი გვაქვს მისატანი ადამიანებამდე, რომ ის კი არ მოიქცა ცუდად, ვისაც გადაუღეს, არამედ შენ მოიქეცი ცუდად, როდესაც გადაიღე და რომელსაც სხვა ქვეყანა გამოიყენებს შენ წინააღმდეგ. მთავარი ბოროტება ეს არის, რომელიც ჩავიდინეთ და მგონია, რომ ოდესღაც დადგება პასუხისმგებლობის საკითხი. უბრალოდ არ მინდა, რომ მხოლოდ მათ მიმართ დადგეს, ვინც ამის შემსრულებლები იყვნენ. მგონია, რომ მორალური პასუხისმგებლობა უნდა დავაყენოთ, ვიდრე პოლიტიკური. მორალური იმ თვალსაზრისით, რომ ეს როდესაც დაგიმტკიცდება, იმდენად „ტეხავდეს“, რომ თავის გამოყოფა „გიტყდებოდეს“ სადმე და იმ კაცს კი არა, ვისაც გადაუღეს. ანგელოზები არავინ არ ვართ, დარწმუნებული ვარ, ყველას ცხოვრებაში არსებობს ისეთი მომენტები, რომელიც არ გვინდა საჯაროდ იყოს ცნობილი. ჩვენი ყურადღება ამ კადრებში რა არის და ვინ არიან, იქითკენ კი არ უნდა წავიდეს, არამედ ვინც ეს გადაიღო და ვინც ეს შეუკვეთა.

***– პარლამენტის წევრს თავმჯდომარის ნებართვის გარეშე საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს. ხომ არ დგება რეფორმირების საკითხი დღის წესრიგში და რას ფიქრობთ საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივაზე, რომელიც გახარიას გუნდმა დააყენა?***

– რასაც ვუყურებ, ოპოზიციიდან მთელ პოლიტიკურ სპექტრს აქვს კომისიის შექმნის ინიციატივა. ჩვენც ვუჭერთ მხარს. უბრალოდ, საკითხია ის, როგორ და რა ფორმატით მივიღებთ მონაწილეობას. მე ყველა ფორმატში მონაწილეობა არ მინდა. მე მინდა, რომ რაღაც კოორდინაცია არსებობდეს ოპოზიციურ პარტიებს შორის. გვინახავს კომისიებიც და გვინახავს, რომ ყველა მათგანი არ ყოფილა წარმატებული.

***– კომისია კომისიისთვის არ გინდათ?***

– არა, კომისია კომისიისთვის არ გვინდა. გვინდა იმისთვის, რომ ადამიანებს მოვუყვეთ, რამხელა შარში ვართ და რა დაგვიტოვა საბჭოთა მემკვიდრეობამ. ის ხალხი დასახმარებელია, ვინც ამას სჩადიოდა. ძალიან ყარს მთელი სისტემა და მთელი სისტემის გააზრების საჭიროების წინაშე ვდგავართ. სანამ ეს არ გაგვიაზრებია, ვერანაირი სასამართლო, ვერანაირი კომისია, ვერანაირი კანონში ცვლილება ვერ უშველის ამ ამბავს. ვიღაცას დავსჯით საჩვენებლად, მაგრამ ისიც კი არ გვეცოდინება, ეს ნამდვილად ის კაცია თუ არა, ვინც უნდა დავსაჯოთ. პრობლემის მასშტაბი უნდა გავიაზროთ, დავინახოთ, სად ვცხოვრობდით ამდენი ხანი და როგორ გვექცევიან ჩვენი ხელისუფლებები.

მე ასე ვუყურებ, რომ პოლიტიკური სპექტრის ნახევარი „დავერბორკებულია“, რადგან სხვა გზა არ აქვს. რაღაცით ემუქრებიან. ვინც გადაიღო მათაც ემუქრებიან, არ მჯერა, რომ ადამიანები ნებაყოფლობით აკეთებდნენ ასეთ საშინელებას. ეს ადამიანები უნდა ვიხსნათ. ახლა მთელი პოლიტიკური სპექტრი ოკუპირებული გვყავს. შეიძლება ჯერ ჩვენი სპეცსამსახურების, მაგრამ ჩათვალეთ, რომ ხვალ რუსეთის მიერ იქნება ოკუპირებული. ის ხალხი, ვისაც ჩვენი სპეცსამსახურები და ხელისუფლება აშანტაჟებდა, დარწმუნებული ვარ, რომ იგივეს გააკეთებს რუსეთის ხელისუფლება. ფაქტია, რომ რაღაც ისეთი აქვთ პოლიტიკურ სპექტრზე, რომლის გამოც მათი ქცევა შეიძლება შეიცვალოს კარდინალურად და თავისუფალი ნება დაკარგონ. მთელი მედია და სასულიერო სპექტრი რომ გყავდეს კომპრომეტირებული და ეს იცოდეს ყველამ სამყაროში. გადაიღე ერთი დანაშაულია და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვერც მოუარე. შენივე გადაღებული იმას ჩაუვარდა ხელში, ვითომ ვისაც ებრძვი. ეს არის სისტემის ბოროტების უმაღლესი მასშტაბი და ეს ყველამ უნდა დავინახოთ.

---

# „მთავარის“ ოპერატორი ლევან აბლოთია ქარელში „ოცნებამ“ მეორე სართულიდან გადააგდო“

## მამუკა მდინარაძე: „ბექა ყორშია იტყუება“



„მთავარი არხის“ ოპერატორი, ლევან აბლოთია ქარელში, „ქართული ოცნების“ ოფისის მეორე სართულის მოაჯირიდან გადმოაგდეს.

როგორც ჟურნალისტი ბექა ყორშია იხსენებს, მმართველი პარტიის შტაბში გადამლებ ჯგუფს თავიდანვე აგრესიულად დახვდნენ და იყო ფიზიკური დაპირისპირება.

ყორშიას ინფორმაციით, ლევან აბლოთია ამ დროისთვის გონზეა, ექიმები ვარაუდობენ, რომ ფეხი აქვს მოტეხილი და მხარი აქვს დაზიანებული.

– მივედით „ქართული ოცნების“ შტაბში, ქარელში. თავიდანვე აგრესიულად შეგვხვდნენ, იყო ფიზიკური დაპირისპირება, გაწევ-გამოწევა, ყველაფერი გადაღებულია. გადმოისროლეს მართლა. პოლიცია მოვიდა ძალიან გვიან. ჩემზეც იყო ფიზიკური ზეწოლა, – განაცხადა ბექა ყორშიამ.

განსხვავებული განცხადება გააკეთა მმართველი პარტიის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ:

– არანაირი ფიზიკური შეხება ოპერატორსა და ჩვენი შტაბის წარმომადგენლებს შორის არ ყოფილა. ნიკა გვარამიამ მოიტყუა, იცრუა.

მისი თქმით, ბექა ყორშია ცდილობდა პროვოკაციის მოწყობას მათი მოგონილი სიუჟეტების მიხედვით.

– კითხულობდა ჩლიქოსანს, მძიმე შეურაცხყოფას აყენებდა ჩვენს წარმომადგენლებს და მას შემდეგ, რაც გამოაძევეს შტაბიდან, მართლაც იყო იქ დაპირისპირება. უკანა სვლით, მთავარი არხის ოპერატორი ტოვებდა ტერიტორიას, როდესაც კიბის ბაქანზე წამოეგო მოაჯირს, დავარდა და დაეცა კიბის ზედა საფეხურებზე, ეს არ იყო ვარდნა მაღალი სიმაღლიდან, – აღნიშნა მამუკა მდინარაძემ.

---

# ნოდარ მელაძე: „პროკურატურაში უცნაური კითხვები დამისვეს“



– რამდენიმე გამომძიებელია გამოყოფილი. რომ გითხრათ, დამრჩა განცდა, რომ მთელი საგამოძიებო უწყებების რესურსია მობილიზებული, რათა სასწრაფოდ მისცეს პასუხისგებაში ის ადამიანები, ვინც ასეთ ბოროტებას ჩადიოდა, ასეთი განზრახვა მე პროკურატურისგან ვერ დავინახე.

ამის შესახებ ტელეკომპანია „პირველის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს თბილისის პროკურატურასთან განუცხადა, სადაც ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიების კითხვებს უპასუხა.

მას ამგვარი განცდა იმიტომ დარჩა, რომ ვინც ასეთ ბოროტებას ჩადიოდნენ, ახლაც მუშაობენ სუსში, ახლაც არსებობს ამ დანაშაულის განმეორებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე.

– იმის გამო, რომ ეს ბმული, სადაც ამდენი ათასი ფაილი იყო ატვირთული, საჯარო სივრცეში გავრცელდა, ყველა ტელევიზიას თანაბრად დაეგზავნა. ანუ ამ შემთხვევაში, ინფორმატორი ან წყარო ჩვენგან არ მოითხოვდა რაიმე განსაკუთრებულ დაცვას, იმიტომ, რომ ეს იყო ღია სივრცეში ატვირთული, ახლაც არის ატვირთული, დღესაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შევიდეს და ჩამოქაჩოს ეს ვიდეოფაილები.

რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენ მიერ ხელთ არსებული ინფორმაცია – როდის და რა იუზერით გამოიგზავნა და ამ შემთხვევაში, ჩვენთან „ფეისბუქიდან“ გამოიგზავნა, ეს ინფორმაცია მივაწოდეთ საქართველოს პროკურატურას. ცოტა უცნაური კითხვები იყო ჩემთვის, იმიტომ, რომ პროკურატურა ინტერესდებოდა, მაგალითად იმით, მოდი, მოგვიყევი, იქ რაც წაიკითხეო. ვუთხარი, რომ არსებობს ბმული, დაგისახელეთ ეს ბმული, ორი დღეა ყველასთვის ცნობილია ეს ყველაფერი, შეგეძლოთ თავად ჩამოგექაჩათ და თავად წაგეკითხათ ეს ყველაფერი-მეთქი.

მერე გვთხოვეს, თქვენ რა მასალებიც გაქვთ უკვე გადმოწერილი ამ ვებგვერდიდან, იქნებ მოგვაწოდოთ ეს მასალები და რას ეხებაო. კიდევ ერთხელ გავუმეორე, რომ რთულად დასამუშავებელი ტექნიკური ფაილებია, ვინც ტელევიზიებიდან ჩამოქაჩა, იცის, რომ ნაწილი დაზიპულია, არ იხსნება და პრობლემურია.

ვუთხარი, რომ პროკურატურაში თუ ტექნიკური საშუალებები გააჩნიათ, ჩვენი ტექნიკური საშუალებები იმასთან ვერ მივა და ამდენი ხანი მეგონა, რომ უკვე ჩამოქაჩული გექნებოდათ და უკვე იდენტიფიცირებული გექნებოდათ, ის სავარაუდო კანონდარღვევები, რაც აქედან იკვეთება-მეთქი.

შემდეგ იყო კითხვა, რომ თუ მოახდინეთ იმ ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებიც უკანონოდ გისმენდნენ და თუ შეგიძლიათ მათი დასახელებაო.

ვუთხარი, რომ ამ ადამიანების ვინაობა თავად იმ ოპერატიულ ოქმებშია, რომლებიც არის ატვირთული, შეუძლიათ ეს ოპერატიული ოქმები ამ წუთასვე ჩამოტვირთონ საიტიდან და მარტივად დაადგენენ იმ ადამიანების სახელებსა და გვარებს, რომლებიც უკანონო მოსმენას ახორციელებდნენ არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მღვდლების, მონაზვნების, ეპისკოპოსების და პატრიარქის უშუალო გარემოცვის, – განაცხადა ნოდარ მელაძემ.

მისი თქმით, საგამოძიებო უწყებაში კითხვა ასევე დაუსვეს ჟურნალისტების უშუალო მოსმენებთან დაკავშირებით.

ნოდარ მელაძემ გამომძიებლებს განუმარტა, რომ თავს დაზარალებულად თვლის და აპირებს, დამატებით შეიტანოს სარჩელი იმის გამო, რომ უკანონოდ ხორციელდებოდა მოსმენა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნება“ ჩანაწერების გამოტანას გახარიას აბრალებს“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლების მიზანია, მომავალში ეკლესია არ იყოს ანგარიშგასაწევი ძალა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს**

***— ბატონო პაატა, როგორ აფასებთ საპატრიარქოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს? შეიძლება ითქვას, შოკისმომგვრელ ამბებს ვისმენთ. რა ხდება, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?***

— მე მგონია, რომ ხელისუფლება, „ქართული ოცნება“ და მისი პოლიტიკური ორგანო, სუსი, რომელიც მხოლოდ „ქართული ოცნების“ გადარჩენაზე ფიქრობს, აქტიურად ცდილობენ მოახდინონ საპატრიარქოს დისკრედიტაცია. საპატრიარქოში რომ ანგელოზები არ არიან, ამას საზოგადოება დიდი ხანია მიხვდა. ციანიდის საქმე, ეპისკოპოსების მიერ ერთმანეთის წვერებით თრევა. მოკლედ, საპატრიარქოში არიან ადამიანები თავისი ცოდვებით და თავისი ამქვეყნიური მისწრაფებებით. ბოლო მოდის ტელეფონები, ავტომობილები, სასახლეები, ეს გასაგებია და ამაში ახალი არაფერია. ის რაც ხდება ეკლესიაში, ეს ხდება საუკუნეებია და არა მარტო საქართველოში. ეს სექსუალური სკანდალები და ა.შ. თავისთავად, ის რაც ხდება საპატრიარქოში, მაგრამ არ არის კატასტროფული და რაღაც ახალი. საშინელებაა ის, როცა სახელმწიფო სტრუქტურა ამას იყენებს თავის თავის გასაძლიერებლად, კანონის დარღვევით. ვგულისხმობ სუს-ს, რომელიც პრაქტიკულად ავლენს არა სახელმწიფო დამნაშავეებს, არამედ ადამიანების გარყვნილ ქმედებებს, რომელიც კანონით არ ისჯება. ის რომ მღვდლის ლოგინში შეიძლება აღმოჩნდეს ვიღაც ქალი ან კაცი, ეს კანონით არ ისჯება.

***— მაგრამ კომპრომატებს უგროვებენ და ამით აშანტაჟებენ?***

— მთელი უბედურება არის ის, რომ სუსი აი ამაზე მუშაობს. ქვეყნის 20% ოკუპირებულია და შესაძლოა ქვეყანა სავსე იყოს უცხო ქვეყნის აგენტებით, ამაზე ჩვენ არაფერი არ გვესმის. სამაგიეროდ გვესმის, მღვდლებზე, პოლიტიკოსებზე, დიპლომატებზე რაღაც-რაღაცები. ეს საზოგადოებისთვის მიუღებელია.

***— ეკლესიის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას ახდენენ?***

— აგაშენათ ღმერთმა! აი ზუსტად ამითაა დაკავებული სახელმწიფო სტრუქტურა. თავისთავად დისკრედიტაცია არ არის დანაშაულებრივი. თუ ადამიანი დანაშაულს ჩადის, თუ კაცმა კაცი მოკლა, ამის გამომჟღავნება და მკვლელის გამოჭერა დისკრედიტაცია კი არაა, დანაშაულში გამოჭერაა და ციხეში უნდა წავიდეს ადამიანი. ხოლო თუ ვიღაც გარყვნილად იქცევა, მაგალითად, ღალატობს ცოლს, ეს კანონით არ ისჯება. აი სუსი კი მხოლოდ ამითაა დაკავებული, რომ გამოავლინოს ვინ ვისი საყვარელია და ვინ ვისთან გორაობს. თავისთავად, ეკლესიაში რაც ხდება, ეს სულაც არ არის სასიამოვნო. სანიმუშო და საქებარი, იქ არაფერი არ ხდება. თუმცა, იქ რაც ხდება, ეს ქვეყანას არ ანგრევს. ხოლო რასაც ხელისუფლება აკეთებს, რა მეთოდებითაც ამას ამჟღავნებს, სწორედ ის ანგრევს ქვეყანას. ის ფული, რომელსაც ჩვენ ვუხდით სუს-ს, აი ამისთანა საქმიანობას ხმარდება. აი ასეთი გზებით ცდილობს ხელისუფლება დღეს, რომ გადაირჩინოს თავი. სახელმწიფო მანქანას პირადი მიზნებისთვის იყენებს. რეალურად, ამ ჭორიკნობასა და სხვისი საუბრების მოსმენაში იხარჯება მილიონები, იხარჯება ძვირადღირებული აპარატურა, ჩამწერი თუ გადამცემი აპარატურა.

***— ამით რას ცდილობს ხელისუფლება, რა უნდა რეალურად? დააშანტაჟოს ეკლესია? მათ მხარდამჭერად აქციოს თუ სახელი გაუტეხოს?***

— მათი მთავარი მიზანია, რომ მომავალში ეკლესია არ იყოს ანგარიშგასაწევი ძალა. ნული უნდა იყოს, კაპიკი უნდა იყოს მისი ფასი, აი რა უნდათ. არაფერს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ მომავალში აღარ დასჭირდეთ მათთვის ანგარიშის გაწევა.

***— სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, ეკლესია და პატრიარქი ყოველთვის პირველ ადგილზე იყო.***

— დღეს მათი მთავარი ამოცანა არ არის, რომ ეკლესია გვერდში ამოიყენონ, არამედ აქციონ ისეთად, რომ საჭირო არ აღარ იყოს მისი გვერდში ამოყენება. ეკლესია არ უნდა იყოს ავტორიტეტი, რომ მას ეფერებოდნენ. აი რისთვის ცდებიან სახელმწიფო სტრუქტურები და რაში იხარჯება დრო და ფული.

***— ხელისუფლება ოპოზიციას ადანაშაულებს, მათ გაავრცელეს ეს ყველაფერიო და გახარიასკენაც მიდის ისრები.***

— აბსურდულია, რომ ეს ოპოზიციამ გაავრცელა და ჩაიწერა. აქ ორი მთავარი მომენტია, ერთი ეკლესია და მეორე გახარია. მაქსიმალურად ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ გახარიას, რომ ეს ყველაფერი შენ დროს ხდებოდაო. ახლა საჭიროა გახარია მეტად პრინციპული იყოს. ახლა ცდილობენ გახარიას შეტენონ, რომ გახარიას დროს ხდებოდა ეს ყველაფერი და თვითონ ანგელოზები არიან. ამაზე მუშაობს იგივე „ლელო“, რომელიც გახარიაზე აკეთებს განცხადებებს. ახლა არ არის დრო შიდა ოპოზიციური კინკლაობის. საჭიროა მთელი ყურადღება სახელმწიფო მანქანაზე გადაიტანონ.

***— რა თამაშს თამაშობს „ლელო“, რატომ ურტყამს გახარიას?***

— იმიტომ, რომ თავის თავის გადარჩენა უნდა. ისინი მხოლოდ პირად ინტერესებზე ფიქრობენ და არა სახელმწიფოზე. კრიტიკულ სიტუაციაში გამოიჭირეს დამნაშავე და დღეს გახარიას გუნდი ნამდვილად არ გამოიყურება უკეთეს მდგომარეობაში და ახლა ურტყამენ არჩევნების წინ. ამით კი ყურადღება გადააქვთ „ქართული ოცნებიდან“. დღეს ყველა თავის თავზე ფიქრობს სამწუხაროდ, და არავინ არ ფიქრობს სახელმწიფოზე. თუ ოპოზიცია სახელმწიფოზე ფიქრობს, მაშინ დღეს არ არის ერთმანეთში საქმეების გარჩევის დრო.




### „ჭორიკნობასა და სხვისი საუბრების მოსმენაში იხარჯება მილიონები“

***— ვინ გამოიტანა ეს ინფორმაცია?***

— დარწმუნებული ვარ, სუსში არის ხალხი, ვისაც არ მოსწონს ეს ყველაფერი. დარწმუნებული ვარ, რომ იქ მერაბიშვილის ბევრი კადრია დარჩენილი. ეს ნაციონალების შექმნილი სისტემაა. ხელისუფლება შეიცვალა, ხალხი შეიცვალა, თორემ სისტემა არ შეცვლილა. ისევ ისე ეწევიან უკანონო და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას.

***— პირდაპირი მემკვიდრეები არიან წინა ხელისუფლების?***

— დიახ, ეს არის ნაციონალური მოძრაობა ორი. ერთადერთი განსხვავება მათ შორის არის ის, რომ „ქართულ ოცნებას“ არ ჰქვია ნაციონალური მოძრაობა. სხვა არაფერი. სხვა ყველაფერი შეითვისეს და შეიმოსნენ მათი თვისებებით. ნაციონალური მოძრაობა თვითონ მართავდა ძალადობას და თვითონვე იყო მოძალადე. ესენი მოძალადეებსაც ვერ უმკლავდებიან. მოძალადეები თავზე დაისვეს. თქვენი კოლეგა ჟურნალისტი მოკლულია და ვითომდა არაფერი.

***— აგონიაშია ხელისუფლებაო და კიდევ უნდა ველოდეთ მათგან ახალ სისულელეებს?***

— სამწუხაროდ, პოლიტიკურ ველზე არავინაა ისეთი, ვინც მათ აგონიას დაასრულებს. არაა დღეს ოპოზიციაში ადეკვატური და შესაფერისი ძალა. ყველა ხელისუფლება შესაბამისმა ძალამ დაასრულა, დღეს ასეთი ძალა არ ჩანს. დღეს არის აგონიაში მყოფი „ქართული ოცნება“ და არავინ არაა, ვინც შეიძლება დაეხმაროს მას, რომ შედარებით მშვიდად წავიდეს პოლიტიკიდან. ხან რას მიედება აგონიაში მყოფი ძალა და ხან — რას. ახლა გადავიდნენ ეკლესიაზე.

***— პატრიარქს გადადგომა უნდოდა ამ ყველაფრის შემდეგო. ამაზე რას იტყვით?***

— დღეს პატრიარქს არავინ არაფერს არ ეკითხება საპატრიარქოში, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. დღეს თუ ვინმე ელოდება საპატრიარქოს სიკვდილს, ეს არის თვითონ საპატრიარქო და შიგნით არსებული სიტუაცია. მთელი საქართველო იქნება დამწუხრებული და პარალიზებული თუ ეს მოხდება, მაგრამ ამით გახარებულები იქნებიან საპატრიარქოში, რადგან ყველა ელოდება როდის დადგება მათი დრო. როდის დაიწყება გარკვეული გადალაგ-გადმოლაგებები. ამიტომ დღეს პატრიარქს, მე მგონი, არავინ არაფერს არ ეკითხება, ყველა საკუთარი ინტერესით მოქმედებს. იქ არიან პრორუსული ძალები, იქ არიან კორუფციული ძალები, კრიმინალური ძალები, იქ არიან მესაკუთრეები, ფეოდალები, ყველანი არიან იქ, გარდა ქრისტიანებისა. არაფერი საერთო დღევანდელ საპატრიარქოს ქრისტიანობასთან არა აქვს! ქრისტეს მოძღვრებასთან არა აქვს. დღეს პატრიარქს არავინ არაფერს ეკითხება, ისე კეთდება ყველაფერი.

***— რა პროცესებს ელოდებით, კიდევ ახალი კომპრომატების ომი დაანონსდა, მეტი უარესი რა უნდა მოხდეს? ხელისუფლება ოპოზიციას აბრალებს, ნაციონალები აპირებენ ამასო.***

— ეს ხომ სასაცილოა. ხელისუფლებაში თვითონ არიან და? ამას თუ ვინმე გააკეთებს, გააკეთებს მხოლოდ „ქართული ოცნება“! კი, ნაციონალებმა ბევრი კადრი დატოვეს სისტემაში, მაგრამ 2012 წლის შემდეგ ყველაფერზე პასუხისმგებელი „ოცნებაა“!

***— ელოდებით კომპრომატების ომს?***

— ეს უკვე მიმდინარეობს. ის რომ ეკლესიას შეუტევდნენ, ეს ნამდვილად უსინდისობის მწვერვალი იყო. კომუნისტების დროს სულ დავდიოდი ეკლესიაში და გამუდმებით მესმოდა, რომ ეკლესია მამათმავლებითაა სავსე. არაფერი ახალი არ ხდება. ახალი ხდება ის, რომ ამას აკეთებს სახელმწიფო სტრუქტურა, რათა გადაარჩინოს პოლიტიკური პარტია. ამის გამო კი აცლის სახელმწიფოს საყრდენს. ეკლესია ერთ-ერთი პოპულარული ინსტიტუტია ქვეყანაში. სწორია თუ არასწორი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ რეალობა ასეთია.

***— ივანიშვილი ბუნებით ეჭვიანია და ყოველთვის ეჭვიანობდა პატრიარქის და ეკლესიის რეიტინგზეო. შესაძლოა ეს მისი დაკვეთა იყოს?***

— არ გამოვრიცხავ. თუმცა, როცა მე მათთან ვიყავი, არ შემიმჩნევია, რომ მას ეკლესია სძულს, მაგრამ ის დიდ ინტერესს იჩენდა, მას უნდა სცოდნოდა ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა. სულ ცდილობდა, რომ ჰქონოდა გარკვეული კავშირები და ურთიერთობები ამა თუ იმ ეპისკოპოსთან. რა ფორმით ჰქონდა, ფულს უხდიდა, მანქანას ჩუქნიდა თუ სხვა რამ, ეს ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჰყავდა გამორჩეული ეპისკოპოსები. მეც კარგად ვიცნობ მათ, თუმცა ამას ნამდვილად არ ვიტყვი, რადგან ეს ძალიან პირად კონტექსტში ხდებოდა. სწორედ მათგან იღებდა ინფორმაციებს. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ თამამად, რომ ეს ნამდვილად არ იყო პატრიარქი, სულ სხვა ხალხს ეკითხებოდა. მე ამ ხალხს ვიცნობ, ვხედავ, ვიცი, მაგრამ ამაზე მეტს ვერ ვიტყვი, რადგან ეს იყო შიდა ექსკლუზიური ინფორმაცია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მას ამ ხალხთან კონტაქტები კიდევ აქვს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მას ამ ხალხთან კონტაქტები კიდევ აქვს.

# რატომ მოქმედებენ სპეცსამსახურები კანონს მიღმა?!

## ლევან ალაფიშვილი: „ჩანაწერების გამომტანი პოლიტიკური ინტერესით მოქმედებდა, მაგრამ ვინც ჩაწერა, ის რა ინტერესით მოქმედებდა?! ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, სუსიდან გამოჟონილ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით „ლელო“ საგამოძიებო კომისიის შექმნაზე საუბრობს. მეტიც, ივანიშვილის დაბარების პირობით. რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში ოპოზიციამ?***

— არის სახელმწიფოებრივი საკითხები, რომელიც პოლიტიკის მიღმაა. ერთ-ერთი ასეთი საკითხი არის სწორედ სპეცსამსახურებიდან გამოჟონილი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც გავიგეთ, რომ სპეცსამსახურები უკანონო საქმიანობას ეწეოდნენ.

პოლიტიკოსების, მით უფრო საპარლამენტო ოპოზიციის ხელშია ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა საგამოძიებო კომისიის შექმნა. შესაბამისად, არათუ განცხადება, ქმედებაა საჭირო მათი მხრიდან. ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკოსმა საზოგადოებისთვის საჭირბოროტო, მტკივნეულ საკითხებზე რეაგირება მოახდინოს, მაგრამ რამდენად პროდუქტიული იქნება, ეს არის მნიშვნელოვანი.

მთავრობის, სპეცსამსახურების საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი რამდენად ეფექტური იყო?! რამდენად კონტროლირებადია ეს უწყება პარლამენტის მიერ?! ჩვენი კანონმდებლობით, გარდა პარლამენტის თავმჯდომარისა, პარლამენტის წევრებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან წვდომა არ აქვთ. ეს უფლება მათ პარლამენტის თავმჯდომარისგან უნდა მოიპოვონ. პარლამენტის თავმჯდომარემ კი ეს დაშვება სუსისგან განხორციელებული სამუშაოების შემდეგ უნდა გასცეს. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ აშკარა ინტერესთან კონფლიქტი იკვეთება.

იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ძალოვანი უწყებების, საგამოძიებო, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა ძალიან დაბალია, ამას თუ დავუმატებთ არაერთი გახმაურებული საქმის დაძვრასა და შემდეგ თაროზე შემოდებას, მახსენდება პრემიერ კვირიკაშვილის მძაფრი განცხადება, როდესაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გავრცელდა, როგორ გვითხრა, რომ ამ საქმის გამოძიება მისი პირადი ღირსების საქმე იქნებოდა, მაგრამ შემდეგ არაფერი არ გამოძიებულა, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა ფართო საზოგადოებრივი და საერთაშორისო ჩართულობით შეიქმნას კომისია. წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვი მაქვს, რომ ეს ვერ გასცდება პარტიული პოლიტიკის ფარგლებს, რაც კიდევ ერთხელ სახელმწიფო ინტერესებს დააზიანებს.



***— გახარიას პარტიაში არ გამორიცხავენ, რომ ამ საქმეზე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი დააკავონ, რადგან „ოცნებაში“ ეჭვია, ფაილები სწორედ მან გამოიტანა. უკავშირდება თუ არა ეს ყველაფერი არჩევნებს?***

— ცოტა უცნაურ რამესთან გვაქვს საქმე. ორი დღის წინ „ქართული ოცნების“ ლიდერები გვიმტკიცებდნენ „ნაციონალების“ გაკეთებულიაო. დღეს გვიმტკიცებენ, არა, გახარიას გაკეთებულიაო. თუ ორივემ ერთად გააკეთა, ეს კარგად ვერ გავიგე. ამაზე უნდა ჩამოყალიბდნენ, რომ ძალიან ინფანტილურად არ გამოიყურებოდეს ეს ყველაფერი მათი მხრიდან. როგორც ჩანს, განცხადებების ამ აბლაბუდაში ხელისუფლება თავადვე გაება. ამაზე ერთადერთი სწორი და ადეკვატური პასუხი იქნებოდა ადგილობრივი და საერთაშორისო ფართო ჩართულობით, ხელისუფლების მონაწილეობითაც კომისიის შექმნა და ამ საკითხის გადაწყვეტა.

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის არ არის არსებითი საკითხი, ვინ გამოიტანა ეს ფაილები. პოლიტიკოსმა, ოპონენტმა, ფაქტია, რომ სისტემური პრობლემა გვაქვს. ფაქტი ის არის, რომ სპეცსამსახურები კანონს მიღმა ახორციელებენ საქმიანობას. ამაზე უნდა იყოს აქცენტი და არა იმაზე, ვინ გამოიტანა. კი ბატონო, გამომტანი პოლიტიკური ინტერესით მოქმედებდა, მაგრამ ვინც ჩაწერა, ის რა ინტერესით მოქმედებდა?! ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. ერთნაირად ისჯება გამავრცელებელიც, შემქმნელიც და შემნახველიც.

უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა ყველა არჩევნების წინ ასეთი სკანდალი. ეს რეალურად სახელმწიფოს პრობლემაა. ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი სივრცე დაცულია კონსტიტუციით და არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით. ამ საქმის გამოუძიებლობა დიდ სკანდალში გახვევს ხელისუფლებას, რადგან ეს საქმეები შეიძლება საერთაშორისო სასამართლოში წავიდეს.

კიდევ ერთი უცნაურობა. პროკურატურამ საქმე აღძრა. დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები, მაღალი თანამდებობის პირები, პრემიერი, მმართველი პარტიის თავმჯდომარე გამოდიან და გვეუბნებიან გახარიას გუნდის წევრმა გამოიტანაო. რა გამოდის, პროკურატურას აძლევენ მითითებას, რომ ამ მიმართულებით წავიდეს გამოძიება?! ეს არ არის სწორი. ეს პირდაპირ არგუმენტია გახარიასთვის, რომ გამოვიდეს და თქვას — სახეზეა პოლიტიკური დევნა.

### სუსიდან მასალების გავრცელების საქმეზე შეიძლება ალექსანდრე ხოჯევანიშვილი დააკავონ



პარტია „საქართველოსთვის“ წევრი, ბექა ლილუაშვილი არ გამორიცხავს, რომ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით სუსის უფროსის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი დააკავონ.

ამის შესახებ მან ჟურნალისტის კითხვას უპასუხა.

— როგორც ჩანს, მმართველი პარტიისთვის დღეს მთავარი პრიორიტეტია ძალაუფლების შენარჩუნება, შესაბამისად, არ გამოვრიცხავთ არაფერს, მათ შორის ბუტა რობაქიძის საქმეზე, საერთაშორისო სასამართლოს მიერ დაზარალებულად მიჩნეული ჩვენი მხარდამჭერი ბართაია ციხეშია, არაფერია გამორიცხული, — აღნიშნა ბექა ლილუაშვილმა.

პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფარულ ჩანაწერებზე საუბრისას არ გამორიცხა, რომ მასალები სუსიდან გიორგი გახარიას და ალექსანდრე ხოჯევანიშვილს გაეტანა, რომელიც „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მნიშვნელოვან დანაყოფებს კურირებდა და მას მოსმენების სამსახურთანაც ჰქონდა წვდომა“.

ალექსანდრე ხოჯევანიშვილი გახარიას თანაპარტიელი დეპუტატის, გიგი ხოჯევანიშვილის ძმაა.

# „ნაცებსა და „ოცნებას“ შორის უფრო მშვიდი და კეთილი ურთიერთობაა, ვიდრე შიგნით „ოცნებაში“

## ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილი დისკომფორტს არ შეიქმნის და არ ჩამოვა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.**



***– ბატონო ჯონდი, წინასაარჩევნო პროცესს როგორ აფასებთ? მოგეხსენებათ, გაცხოველებული ურთიერთქიშპობაა.***

– სინამდვილეში არავითარი წინასაარჩევნო ქიშპობა არ არის. კიდევ ერთხელ შეცდომაში ნუ შედიხართ.

***– მაშ რა არის? რას არქმევთ იმას, რაც არის?***

– ურთიერთშეთანხმებული ცენტრალიზებული ისტერიკაა ხალხის გასართობად და ძირითადი პრობლემებიდან ასეთ, ყოვლად სულელურ კინკლაობაზე ყურადღების გადასატანად. სხვა არაფერი ხდება.

***– ერთი რაღაც ჩანაწერებს აქვეყნებს, რაზეც ვისმენთ „ოცნების“ კომენტარებს. ამდენი წელია ნაცმოძრაობა ხელისუფლებიდან წავიდა და დღესაც ფარული, პირადი ცხოვრების ჩანაწერებით საზოგადოებრივი აზრის მართვას ახერხებს, რატომ ვერ გავცდით ამგვარ მანიპულაციას?***

– ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო, ხომ გაგიგია. სინამდვილეში არაფერი არაჩვეულებრივი არ ქვეყნდება. ერთი ერთს გამოაქვეყნებს, მეორე – მეორეს. ამის უკან ქვეყანაში კატასტროფული სოციალური მდგომარეობაა. საგარეო ვალი იმდენად გაიზარდა, რომ დე ფოლტეს წინაშე ვდგავართ. ხალხი მშიერია და ნაგავში იქექება. იმ ადამიანების (მათ შორის, ბავშვების) რაოდენობა, ვინც სრულფასოვნად ვერ იკვებება, კატასტროფულად იზრდება.

ამაზე არავინ ლაპარაკობს. რომელი უფრო მნიშვნელოვანია, ნაცმოძრაობა რომ აქვეყნებდეს, როგორ იძარცვება ქვეყნის ბიუჯეტი, როგორ შიმშილობს ხალხი, თუ ამის ნაცვლად რაღაც არარეალურ ჩანაწერებს აქვეყნებდეს.

***– ამბობენ, პირადი ცხოვრების შესახებ ფაბრიკაციული, დამონტაჟებული ჩანაწერები ქვეყნდება და მომავალშიც შეიძლება გამოქვეყნდესო.***

– ჯერ ერთი, ეს ჩანაწერები არ არის რეალური, მეორეც – რა უფრო საინტერესოა, ვინ ვის ლოგინში კოტრიალობს, თუ სახელმწიფო რომ აღარ გვაქვს და ხალხი რომ გვეხოცება? „ოცნებასა“ და ნაცებს შორის არავითარი დაპირისპირება არ არის. მიდის ხალხის გაბითურება. ქვეყნის ეკონომიკის გაყოფა გრძელდება. მთელი ქვეყნის ეკონომიკა ამ ორი პარტიის ლიდერების ხელშია. ყველა ბიზნესი – საწვავის ბიზნესი, ჯანდაცვის ბიზნესი და ა.შ.

კოვიდტესტებზე რა ხდება ვერ ხედავთ? ნაცმოძრაობის ერთ წარმომადგენელს, ნერწყვი რომ მოსდიოდა, კოვიდტესტები ფასიანი უნდა გახდესო. უნდოდათ კოვიდტესტები კომერციული გამხდარიყო, ხომ გახსოვთ. დღეს კოვიდტესტის კომერციული ფასი 100 ლარია.

***– გიორგი ვაშაძეზე ამბობთ?***

– ესენი ყველა ითხოვდნენ. ყველა ერთია, ერთი შაიკაა, მაგრამ ნაცმოძრაობის წევრი მოითხოვდა, რომ კოვიდტესტების კომერციალიზაცია მომხდარიყო. გამყრელიძეს ეუბნებოდნენ, როგორ ბედავთ, რომ ამბობთ, კომერციული არ შეიძლება იყოსო. თურმე ჩაფიქრებული ჰქონდათ, კომერციული გაეხადათ და კომერციული გახდა.

***– შთაბეჭდილება არ გექმნებათ, რომ ნაცმოძრაობა ფარული, პირადი ცხოვრების ჩანაწერებით მართავს ქვეყანას, შეიძლება ამით ხელისუფლების მართვაც უნდა და ხელისუფლებას აშანტაჟებს?***

– ნაცმოძრაობა „ოცნებას“ ვერ დააშანტაჟებდა, „ოცნებას“ ნაცმოძრაობის განადგურება და იზოლაცია რომ სდომებოდა, ამას 2012 წელს მოახერხებდა. „ოცნებამ“ ნაცმოძრაობის განადგურება ახლა რომ მოინდომოს, 3 დღეში გაანადგურებს. 3 დღეში შეიძლება ნაცმოძრაობის განადგურება.

***– ჩვენი პარტნიორები ამას როგორ შეხვდებიან?***

– როგორ შეხვდებიან პარტნიორები, მაგალითად, საფრანგეთში ტერორისტული აქტი რომ ჩაიდინეს, იმ ადამიანების დაკავებას? შარლი ებდოში რომ შევარდნენ.

ჩვეულებრივად შეხვდებიან. საუბარია ადამიანებზე, რომლებმაც უდიდესი დანაშაულები ჩაიდინეს. მათ არა მარტო კორუფციული, არამედ ძალადობრივი დანაშაულები აქვთ ჩადენილი. თანაც სახელმწიფო თანამდებობის გამოყენებით, რაც ძალიან ამძიმებს მათ დანაშაულს. ფაქტები და მტკიცებულებები დევს.

თქვენ კიდევ მეკითხებით, პარტნიორები რას იტყვიანო. ბოდიში, მაგრამ სანამ ასეთ შეკითხვებს დასვამენ თქვენისთანა ჟურნალისტებიც კი, რომლებიც ძალიან კარგად ერკვევიან და ძალიან სახელმწიფოებრივად აზროვნებენ...

***– ღარიბაშვილი ამბობს, რომ საინფორმაციო ფსიქოლოგიური ომი და ბინძური კამპანიაა გაჩაღებული სახელმწიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგო.***

– ღარიბაშვილს ვეთანხმები.

***– არადა, ამბობთ, „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის შეთანხმებული თამაშიაო.***

– სწორედ ამის თქმა მინდოდა.

***– როგორ?***

– ღარიბაშვილს ვეთანხმები. მის მიმართ სიმპათიით ვარ განწყობილი, მაგრამ იმედია, ღარიბაშვილს ესმის, რომ ამ პროცესში სახელმწიფო სტრუქტურებიც მონაწილეობენ. ნამდვილად იმიტომ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ინფორმაცია გამოდის. სახელმწიფო სტრუქტურებიდან ინფორმაციამ ერთხელ რომ გამოჟონოს სხვაა, მაგრამ ერთხელ გამოჟონა, ორჯერ, ათჯერ გამოჟონა...

***– სააკაშვილი რომ უსმენდა თავისი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ყურებით ჰყავდა დაჭერილი, ეს ცნობილია, მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ დღევანდელი უსაფრთხოების სამსახური დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს უსმენს?***

– უსაფრთხოების სამსახური იმისთვის არსებობს, რომ ვინც მოსასმენია, მოუსმინოს. ეს სამსახური მოსმენის გარეშე ვერ იარსებებს, მთავარია, რიგითი ადამიანები და მათი პირადი ცხოვრება დაცული იყოს. უსაფრთხოების სამსახური იმიტომ არის უსაფრთხოების სამსახური, რომ მან უზრუნველყოს უსაფრთხოება.

თუ უსაფრთხოების სამსახურს ინფორმაცია არ ექნება, ისინი ვერაფერს ვერ უზრუნველყოფენ. ამიტომ, სინამდვილეში ვიღაც ბანდიტი რომ არის, თუ არ მოუსმენენ, უფრო ცუდი იქნება. ცუდი ის არის, როდესაც ეს კონფიდენციალური ინფორმაცია გარეშე პირების ხელში ხვდება.

სახელმწიფო მაღალჩინოსნები ჩართული არიან ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გადაეცით ეს ირაკლი ღარიბაშვილს, რომლის მიმართ მე სიმპათიით ვარ განწყობილი. როცა ის ამაზე საუბრობს, გულწრფელია, მაგრამ არა მგონია არ ესმოდეს, რომ ინფორმაცია მათივე სტრუქტურებიდანაა გაჟონილი.

შიდა ბრძოლაც მიდის. ნაცებსა და „ოცნებას“ შორის უფრო მშვიდი და კეთილი ურთიერთობაა, ვიდრე შიგნით „ოცნებაში“. ნაცმოძრაობის შიგნით მიდის ბრძოლა გავლენებზე, „ქართული ოცნების“ შიგნითაც მიდის ბრძოლა, მაგრამ ესენი ერთმანეთს არ ესხმიან.

***– ერთმანეთს წესების გარეშე ებრძვიანო. ბრძოლა წესებით რომ იყოს, როგორ უნდა ებრძოლონ ერთმანეთს?***

– ბრძოლა წესების გარეშე არის საკუთარ ხალხთან. ისინი ხალხის ყურადღების გადასატანად იბრძვიან, ხალხმა არ იფიქროს და გაჭირვება არ გააპროტესტოს. არ გააპროტესტოს, რომ გაატყავეს და მომავალი მოპარეს.

***– ღარიბაშვილმაც განაცხადა, ქვეყანაში ბევრი პრობლემაა და რა დროის ფარული ჩანაწერებიაო.***

– ღარიბაშვილის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ამ განცხადებებს კი არ გავაკეთებდი, ამ ბანდას გავანადგურებდი. ეს ბანდა პოლიტიკურადაა გასანადგურებელი. პოლიტიკურად არც ერთს არ დავტოვებდი. არავითარი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩემთვის ბარიერი არ იქნებოდა.

***– ამბობთ, „ოცნებას“ ნაცმოძრაობა 2012 წელს უნდა გაეშვა პოლიტიკიდანო. მაშინ პარლამენტის თავმჯდომარემ, უსუფაშვილმა განაცხადა, ნაცმოძრაობა უნდა შევინარჩუნოთო. ცხადია, ხელოვნურად, თორემ ჩადენილი დანაშაულებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა მათთვის პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალათ. შემდეგ უსუფაშვილი ვიხილეთ ნაცმოძრაობასთან ერთად ნათელაშვილის ეზოში.***

– დიახ, ყველა ერთადაა.

***– ვის უნდა გაენადგურებინა ნაცმოძრაობა პოლიტიკურად?***

– თქვენი შეკითხვა პასუხი და დასტურია იმისა, რომ არავინ არავის განადგურებას არ ცდილობს. ესენი ცდილობენ ხალხი ანერვიულონ, ვაიმე, მიშა არ დაბრუნდეს, ახლა რა დროს შიმშილი და სოციალური მოთხოვნებიაო. არიქა, „ოცნება“ ავირჩიოთო. მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ „ოცნებაზე“ რევანშს და შურისძიებას, ისევ მიშა თუ შეძლებსო.

***– სააკაშვილი ჩამოსვლას აპირებს. როგორ შეხვდებით?***

– სააკაშვილი ჩამომსვლელი არ არის. მას დიდი ხანია ვიცნობ. 1997-98 წლიდან ვიცნობ მისთვის კრიზისული ვითარებებიდან. სააკაშვილი არ არის თავისთვის დისკომფორტის მომწყობი კაცი. თუ მიიღო გარანტიები, რომ 2 კვირით დაიჭერენ და მერე გამოუშვებენ, ჩამოვა. გარანტიების მიმცემი უნდა იყოს აქაური ხელისუფლება.

ვიცი, როგორ მოქმედებს მიშა კრიზისულ ვითარებაში, ანუ გარბის და გაქცეული აქ ჩამოვა? დღევანდელი ხელისუფლებისაგან, პირადად ბიძინა ივანიშვილისაგან გარანტიები თუ მიიღო, რომ მაქსიმუმ მხოლოდ 1-2 კვირით დააკავებენ და მერე შეიძლება გამოუშვან, ჩამოვა. ამათ შეიძლება თქვან, გამოგვაშვებინესო. ხომ გახსოვთ, უგულავაზე, მელიაზე რა იყო.

ე.ი. ახალი სპექტაკლის დადგმაზე თუ შეთანხმდნენ და სააკაშვილმა ხელისუფლებიდან 100%-იანი გარანტიები მიიღო, მაშინ ჩამოვა. ისე არსად ჩამომსვლელი არ არის. თუ სააკაშვილი ჩამოდის, ე.ი. კიდევ ერთი, დამაგვირგვინებელი ღალატი აქვს ჩადენილი „ოცნებას“, ანუ მიშას გაურიგდა, რომ ქვეყანაში დააბრუნონ.

***– საინტერესოა, უცხოეთში, ვთქვათ, ევროპასა და ამერიკაში ისეთ მეთოდებს იყენებენ არჩევნების დროს, როგორც საქართველოში, კერძოდ, ფარულ, პირადი ცხოვრების ამსახველ ჩანაწერებს თუ აქვეყნებენ ოპონენტების წინააღმდეგ?***

– სარკოზის რა გაუკეთეს, ხომ ნახეთ. პოლიტიკას ეს ახასიათებს, მაგრამ იქ რეალურია. აქ ყველაფერზე შეთანხმებული არიან, ზოგი ჭორია, ზოგი – მართალი. მოვა დრო, ისეთი ჩანაწერების გამოქვეყნდება, გავიგებთ, რომ „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთად სხედან და საუბრობენ, ხალხი როგორ მოატყუონ და ანერვიულონ.

***– ცოტა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სადაც უსუფაშვილი ნაცმოძრაობასთან ალიანსში აღმოჩნდა, დასაშვებია.***

– მიშასაც ძნელად წარმოედგინა 2012 წელს მისი წასვლა. იმის მსგავსი არ იყო, ახლახან რომ გამოქვეყნდა – ერთად რომ ქეიფობენ ბოკერია და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. მე ყოველთვის თავს ვარიდებდი, სადმე პროტოკოლურ სუფრაზე მათთან ერთად მოხვედრას.

***– გეძახდნენ?***

– როცა პროტოკოლური სუფრებია, სახელმწიფოში რაღაც ხდება, ასეთ სუფრაზე სახელმწიფო გეძახის. მაგალითად, მცხეთობაზე პროტოკოლური სუფრა გაიშალა, საპატრიარქოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ და უნდა მივსულიყავი. იქ ერთი წვეთიც არ დავლიე მათთან ერთად, წამოვედი. ჯერ მათთან ერთად როგორ დავლევ, მერე, როგორ ვიმღერებ: „ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას, გული გაუპოს დანამა“. მითხარი, ამას რა მამღერებს ბოკერიასთან ერთად? ერთად სხედან ბოკერია, ნაცები და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ჩუმად, სადღაც ბარში და ამას ერთად მღერიან. ჩვენ გვაგინებდნენ.

# ოკუპირებული აფხაზეთიდან ქართულ ენას ბჟანიაც დევნის

## სოხუმსა და მოსკოვს შორის სასაზღვრო უთანხმოებაა

მარიამ მჭედლიშვილი

**ოპოზიციაში ყოფნის დროს ოკუპირებული აფხაზეთის ახლანდელი ფაქტობრივი პრეზიდენტი ასლან ბჟანია აუცილებლად მიიჩნევდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებების დაცვას და აკრიტიკებდა ხაჯიმბას პოლიტიკას. ბჟანიას მოსვლით ქართველების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. თბილისში გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპირებული რეგიონის სკოლებში ქართული საერთოდ აკრძალეს. აფხაზური წყაროები ამაზე დუმან.**

წინა წლებში ქართულ სკოლებს მუდმივად ავიწროებდნენ. საუბარი იყო ამ სკოლების სრულად რუსულ სკოლებად გადაკეთებაზე. ეს მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. ქართული იმაზე ადრე განდევნეს, ვიდრე ვინმე იფიქრებდა.

ოკუპირებულ აფხაზეთში აფხაზურიც გადასარჩენი გახდა. აფხაზური იქცა სახლებში სასაუბრო ენად, აფხაზური სკოლები კი კარგა ხანია არ არსებობს. აფხაზური სკოლები რუსული დაწესებულებებია, სადაც ზოგიერთ კლასში უცხო ენასავით ასწავლიან აფხაზურს.

თუ არაფერი შეიცვალა, აფხაზეთში მალე ქართულსა და აფხაზურს დაივიწყებენ, განათლების სისტემაში კი მხოლოდ რუსული და სომხური სკოლები იფუნქციონირებს.

რუსული ენისადმი ფანატიკური დამოკიდებულება აფხაზებს რუსებთან ურთიერთობაში ყველა პრობლემას ვერ უგვარებს. ერთ-ერთი პრობლემა სოხუმსა და მოსკოვს შორის სასაზღვრო უთანხმოებაა.

ამჟამად ოკუპირებულ რეგიონში იმყოფება რუსეთის ფედერაციის დელეგაცია, რომელთანაც საზღვრის (კანონით, ეს საქართველო-რუსეთის საზღვარია) დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხი უნდა მოწესრიგდეს.

ორი წლის წინ ითქვა, რომ სოხუმი და მოსკოვი ხელს მოაწერენ საზღვაო გამიჯვნის შესახებ შეთანხმებას, ვინაიდან სახმელეთო ნაწილი შეუთანხმებელია. აფხაზები სოფელ აიბგაზე დავობენ. იქ მშენებარე ფსოუზე გამავალი ხიდი აფხაზეთში რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევად შეაფასეს.

საზღვარს ჩრდილოეთ კავკასიაში ავტონომიებს შორისაც ადგენდნენ. ამ გაუმჭვირვალე პროცესმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ბევრ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით – ინგუშეთსა და დაღესტანში, სადაც რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებიც აღინიშნა.

როგორც ჩანს, უკმაყოფილება იქნება აფხაზეთშიც. შესაძლოა, საზღვრის გარკვევის პროცესი გაჭიანურდეს.

კანონის თანახმად, ფსოუზე საქართველო-რუსეთის საზღვარი გადის და მისი დემარკაცია-დელიმიტაცია თბილისთან გასარკვევი საკითხია.

ოკუპირებულ აფხაზეთს „მარჩენალი“ რუსეთის ხელში სხვა პრობლემებიც უგროვდება. აფხაზეთი ისევ დგას ფინანსური კრახის წინაშე. პენსიონერების ნაწილი პენსიას აფხაზეთის საპენსიო ფონდიდან იღებს. ასეთი პენსიონერი არის 47 300. აფხაზეთს მათ მიმართ დავალიანება (66 მილიონი რუბლი) დაუგროვდა.



აფხაზეთის ეკონომიკის საგრძნობი მოცულობა ჩრდილოვანია. ამის შესახებ აცხადებს დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია, რომელიც მინისტრთა კაბინეტის ბოლო სხდომას დაესწრო. მისი თქმით, მოსახლეობა მიწის გადასახადს არ იხდის, იჯარით გაცემული მიწა კი დანიშნულებისამებრ არ გამოიყენება. მისი სიტყვებით, მიწის იჯარამ ეფექტი უნდა მოუტანოს ეკონომიკას.

ბჟანიამ დასძინა, რომ მიწის უცხოელებზე გაყიდვის საკითხი ისევ არ განიხილება.

უკანონო ქმედებებში ბჟანიამ სასტუმროებიც ამხილა. მისი თქმით, მეპატრონეები არასწორად უთითებენ დასაქმებულების ხელფასებს და მალავენ გადასახადებს. ბჟანიამ შესაბამის მინისტრებს ეკონომიკის ჩრდილიდან გამოყვანა დაავალა.

# საქართველოში საშუალო ხელფასი თვეში 1.328 ლარი გახდა

2021 წლის მე-2 კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.5 პროცენტით (177.9 ლარით) გაიზარდა და 1.328 ლარი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

საქმიანობების სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 2 354.7 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 15.4 პროცენტით);

ინფორმაცია და კომუნიკაცია – 2.173 (გაიზარდა 12.4 პროცენტით);

მშენებლობა – 2.006.1 ლარი (გაიზარდა 23.7 პროცენტით);

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – 1.919.5 ლარი (გაიზარდა 7.4 პროცენტით).

„საქსტატის“ ცნობით, 2021 წლის მე-2 კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 1.077.8 ლარით, ხოლო კაცების – 1.560 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 153.6 ლარი შეადგინა, ხოლო კაცებში – 207.6 ლარი. საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

# სოსო გოგაშვილი: „სუსიდან მასალების გამოტანა მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირს შეეძლო“

– ყველა მთავრობას აქვს თავისი ნათელი და ბნელი მხარეები, მაგრამ ჩემნაირ თანამდებობაზე ნამუშევარი ადამიანის მხრიდან ყველაფრის ლაპარაკი არ შეიძლება – პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, ამ სისტემაში მეც ვმუშაობდი და ჩემი წილი პასუხისმგებლობა მაქვს.

ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ სოსო გოგაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით საუბრისას განუცხადა.

კითხვაზე, ხდებოდა თუ არა უკანონო მოსმენები სუსში მისი მუშაობის დროს, გოგაშვილი ამბობს, რომ ასეთი რამ ნებისმიერი მთავრობის დროს შეიძლება მოხდეს და „დაზღვეულები ვერ ვიქნებით“.

– ნებისმიერი მთავრობის დროს შეიძლება მოხდეს ნებისმიერი რამ. ამისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა ამაზე უნდა იყოს სპეციალური კონტროლი. დღეს საქართველოში ეს არის წარმოუდგენელი. სანამ მსგავსი სისტემა და მართვის ასეთი მეთოდები იქნება, ამისგან დაზღვეულები ვერ ვიქნებით, – განაცხადა გოგაშვილმა.

გარდა ამისა, გოგაშვილი დარწმუნებულია, რომ პირი, რომელმაც ფარული მასალები სუსიდან გამოიტანა, მაღალი თანამდებობის პირია.

– აქ არის თავმოყრილი განსხვავებული მიმართულების ინფორმაციები, მის ავთენტიკურობაზე საუბარს ვერ დავიწყებ, რადგან მასალებს არ ვფლობ, მაგრამ მე ხომ ვხვდები, რაც არის. არ ვარ საბავშვო ბაღის გამგე, რომ არ ვიცოდე, რა ხდება. ეს არის ძალიან მასშტაბური ინფორმაციული ბაზა, რომელზე წვდომა ერთი კონკრეტული განყოფილების თანამშრომელს წარმოუდგენელია, რომ ჰქონდეს. შეიძლება მოქმედი იყოს, შეიძლება ყოფილი, მაგრამ ყველა ვარიანტში, ეს არის მაღალი თანამდებობის პირი, – განაცხადა გოგაშვილმა.

გოგაშვილი ასევე საუბრობს პირებზე, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში წინა ხელისუფლების დროსაც მუშაობდნენ და ახლაც და ამბობს, რომ „ბინძური სისტემის მსახურები ისევ სისტემაში დარჩნენ, მათ სხვანაირი მუშაობის მეთოდი არ აქვთ“.

– დღეს რაც ხდება, ანომალიაა და ნორმალურ, დალაგებულ სახელმწიფოში, სადაც არის დამოუკიდებელი და გამართული სახელმწიფო ინსტიტუტები, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, რა თქმა უნდა, სამოქალაქო კონტროლის სისუსტის ბრალია და ზოგადად საზოგადოებრივი კონტროლისაც. მაგრამ ეს მახინჯი სისტემა, რომელიც მოდის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან, ისევ არსებობს, მუშაობს და ძალიან ბევრ პოლიტიკურ ორგანიზაციას იწირავს.

ყველა მთავრობა შეეწირა ამ მახინჯი სისტემის ნამოქმედარს. დღეს ვხედავთ, რომ „ქართული ოცნებაც“ იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მე შიგნით ყოფნის დროს არაერთხელ დამიყენებია საკითხი, რომ ეს პრობლემები ჩვენ დაგვხვდება წინ იმიტომ, რომ ამ ბინძური სისტემის მსახურები, რომელიც ნაციონალური მოძრაობიდან გადმოვიბარეთ, ისევ



სისტემაში დარჩნენ. დარჩნენ და ძალიან მაღალ თანამდებობებზე მოკალათდნენ. ბუნებრივია, მათ სხვანაირი მუშაობის მეთოდი არ აქვთ.

სისტემის მხილებას რაც შეეხება, მომხრე ვარ და ერთ-ერთი ინიციატორიც ვიქნები, რომ ეს ყველაფერი დაინგრეს და შეიცვალოს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე, არ უნდა მოხდეს ის, რომ სისტემის დანგრევას ქვეყანაც შეეწიროს. რაც ჟურნალისტებს გაუგზავნეს, არ შეიძლება ყველაფრის გამოქვეყნება. თუ გინდა სისტემა ამხილო, ამ მეთოდებით კი არ უნდა ებრძოლო, კონკრეტულ დარღვევებზე და უკანონო მოქმედებებზე უნდა ისაუბრო, ამას ვერავინ შეგიზღუდავს.

ადამიანებს, რომლებიც მიჩვეულები არიან ამ სისტემით მუშაობას, თუ გასაქანს მისცემ, დააწინაურებ, მათ სხვა მეთოდი არ იციან. შემდეგ ხელისუფლებას რაღაც პერიოდის შემდეგ ემართება ძალაუფლების შენარჩუნების ხიბლი და მეორე პლანზე გადადის მთავარი მიზნები. ამიტომ დღეს ასე ხდება. შიგნით რომ არაერთი მცდელობა მქონდა და ვერ მივაღწიე იმას, რომ ეს არ მომხდარიყო, იმიტომაც აღარ ვარ იქ. ვუყურებ, რომ ეს ხდება და ამათ ხელისუფლება თვალსა და ხელს შუა ეცლებათ.

მთელ მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა რეჟიმის ქვეყნები – დემოკრატიული, თავისუფალი, ავტორიტარული, დიქტატორული, ტერორისტული. ცალკე აღებულ მთავრობებს, თუნდაც ყველაზე დემოკრატიულს, აქვს თავისი ნათელი და ბნელი მხარეები. მაგრამ ჩემნაირ თანამდებობაზე ნამუშევარი ადამიანის მხრიდან ყველაფრის ლაპარაკი არ შეიძლება. თუმცა პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და ამ სისტემაში მეც ვმუშაობდი და ჩემი წილი პასუხისმგებლობა მაქვს. არ მაქვს პრობლემა, რომ ყველა კითხვას გავცე პასუხი, – განაცხადა გოგაშვილმა.

ის ეჭვობს, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება შედეგიანი იყოს.

– ბუნებრივია, ფაქტზე გამოძიება დაიწყება. ეჭვი მეპარება, რომ შედეგი იყოს რამე, იმიტომ, რომ რთულია დღეს მაგ შედეგების დაყენება. რასაც მოვკარი თვალი, რაც ვნახე, ჩემი წარმოდგენა შემექმნა და დაახლოებით ვხვდები, როგორაა განხორციელებული. ჩემთვის ვმუშაობ ამასთან დაკავშირებით და კითხვები ცოტა დამრჩა იმისთვის, რომ ზუსტად დავრწმუნდე, რომელი მხრიდან მოხდა ამის განხორციელება, – განაცხადა სოსო გოგაშვილმა.

# სუსი კარლ ჰარცელსაც უსმენდა

სკანდალური ფაილების ინტერნეტში განთავსების შემდეგ ირკვევა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უცხოელ დიპლომატებს, მათ შორის, ევროკავშირის ელჩს საქართველოში, კარლ ჰარცელსაც უსმენდა.

მიღებული ინფორმაციით, მ.წ. 8 ოქტომბერს საქართველოში ევროკავშირის ელჩი, კარლ ჰარცელი, ესაუბრა თანაშემწეს, რომელსაც განუცხადა, რომ 9 ოქტომბერს, 11:00 სთ-ზე, საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახ. უნივერსიტეტში სამღვდელოებასთან ჩანიშნული შეხვედრა გაგრძელდება დაახლოებით საათ-ნახევარი, მისი ინფორმაციით შეხვედრაზე მიდის მხოლოდ რამდენიმე ელჩი, ამიტომ თავად გეგმავს, რომ შეხვედრას დაესწროს მხოლოდ ნახევარი საათი, შემდეგ მოიმიზეზებს მნიშვნელოვან საქმეს და წამოვა – აღნიშნულია სუსის ფაილში.

ტვ პირველის ცნობით, სკანდალურ ფაილებში არის საქართველოში ევროკავშირის საელჩოს, ისრაელის საელჩოსა და ევროსაბჭოს წარმომადგენლობების ფარული ჩანაწერები. დიპლომატებს მათი თანაშემწეების საშუალებით აკონტროლებდნენ.

„პირველებმა“ ფარულ მიმოწერაში ისეთი ფაილები იპოვა, სადაც ისრაელის ელჩი იუსტიციის მინისტრთან შეხვედრას ითხოვს და საუბარი შედგა საელჩოსა და სამინისტროს შორის.

კავშირი ამ ყველაფერს ეკლესიასთან არ აქვს, თუმცა ის მაინც ოპერატიულ ცნობებში მოხვდა.

# „ეს ძარცვა გამიჩალიჩეს“

## ერაყში შეიხის ძარცვაში ეჭვმიტანილი ქალი თბილისში ჩამოვიდა

ერაყელი სამართალდამცველები მარიკა ხუხუნაიშვილს მასშტაბური ძარცვის მთავარ ფიგურანტად განიხილავენ.

მას „კურიერმა“ თბილისში მიაგნო. ახალგაზრდა ქალი მეუღლესთან ერთად შეიხის ძარცვაშია ეჭვმიტანილი. სახლიდან გატანილია 2 მილიონ 600 ათასი დოლარი და 4 კილოგრამი ოქრო.

„კურიერთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში საქმის მთავარი ეჭვმიტანილი დანაშაულს უარყოფს და ირწმუნება, რომ ერაყის ტერიტორია იქამდე დატოვა, სანამ მისი დამსაქმებლის სახლს გაქურდავდნენ. ხუხუნაიშვილი არ გამორიცხავს, რომ პროვოკაცია მოუწყვეს.

– ეს არის კარგად დაგეგმილი, გაჩალიჩებული, რადგან იცოდნენ, რომ მე 3 სექტემბერს ვტოვებდი ერაყს და ვიღაცამ ძარცვა სპეციალურად დაამთხვია. არანაირი შეხება ამ დანაშაულთან არც მე და არც ჩემს მეუღლეს არ აქვს. მე ერაყი 3 სექტემბერს დავტოვე, უკვე გასული ვიყავი ქვეყნიდან, ეს დანაშაული რომ მოხდა. ჩემმა ქმარმა კი საერთოდ წინა დღეს დატოვა ქვეყანა, – ყვება „კურიერთან“ მარიკა ხუხუნაიშვილი.

ოჯახის წევრები და ადვოკატი ძარცვაში ხუხუნაიშვილის მეუღლის, თენგიზ შაინიძის მონაწილეობასაც გამორიცხავენ. უფლებადამცველი როსტომ კერესელიძე ამბობს, რომ ორივე ეჭვმიტანილი მზად არის, შესაბამის ორგანოებთან ითანამშრომლოს.

ერაყში ადგილობრივ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით ცოლ-ქმარმა, მარიკა ხუხუნაიშვილმა და თენგიზ შაინიძემ, კიდევ ორ თანამზრახველთან ერთად მდიდარი შეიხის სახლი გაქურდეს. ნაქურდალი თანხა და დიდი ოდენობით ძვირფასეულობა კი ტყეში გადამალეს.

გამოძიებამ ტაქსის მძღოლის დახმარებით გადამალულ ფულს და ოქროს მიაგნო, თუმცა, როგორც უცხოური პრესა იუწყება, დამნაშავეებმა ქვეყნის დატოვება მოახერხეს.

შეიხის ძარცვის საქმეზე გამოძიება გრძელდება. დაუმტკიცდებათ თუ არა ბრალი ქართველ ცოლ-ქმარს, ჯერჯერობით უცნობია.

მათ ერაყში ადვოკატი უკვე აიყვანეს, თუმცა უკან დაბრუნებას ამ ეტაპზე არ აპირებენ.

# შვილიშვილი გაიტაცეს, ბებია მანქანას გაეკიდა, დაეცა და გარდაიცვალა

## ტრაგედია ალგეთში

ტრაგედია მოხდა სოფელ ალგეთში – 23 წლის ქალის გატაცებას ქალის ბებია ემსხვერპლა.

ქალი მამაკაცმა ქორწინების მიზნით გაიტაცა, ავტომობილს ადევნებული ბებია კი ნერვიულობის ნიადაგზე გარდაიცვალა.

მეორე ვერსიით, ქალის ოჯახის წევრებს გამტაცებლები ავტომობილით შეეჯახნენ, რის შედეგადაც ქალის ბებია ადგილზე გარდაიცვალა, დედა კი კლინიკაში გადაიყვანეს.

აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს გარდაცვლილი ქალის შვილი და ირწმუნება, რომ დედა ავტომობილის დადევნების დროს წაიქცა და გარდაიცვალა.

– გუშინ მოვიდნენ და გაიტაცეს გოგო. დაავადებულმა დედაჩემმა კილომეტრები სდია ამ მანქანას, რომ გაეჩერებინა, ამ დროს ის დაეცა და გარდაიცვალა, მაგრამ გოგოც ძალიან ჩუმია, არ გვიყვება არაფერს. ამ შემთხვევის მერე კომუნიკაცია არ გვქონია. გუშინ ყველა გამოვიკითხეთ. გავრცელებული ინფორმაცია, რომ დედაჩემს მანქანით დაეჯახნენ, ტყუილია, – ამბობს გარდაცვლილი ქალის შვილი.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოხუცი ქალი ნერვიულობას ემსხვერპლა.

საგამოძიებო უწყებამ გატაცების ორგანიზატორების წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო.

# თბილისში, ვერაზე კანონიერი ქურდის შვილი ჩაცხრილეს

გუშინ, 15 სექტემბერს, თბილისში, ვერაზე, ნიკოლაძის ქუჩაზე, 20 წლამდე ბიჭი ჩაცხრილეს. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს.



თვითმხილველთა ინფორმაციით, ოთხმა პირმა „რენჯ როვერის“ მარკის მანქანაში მჯდომი პირი მანქანიდან გადმოიყვანა და ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა.

მას 9 ტყვია აქვს მოხვედრილი და კლინიკაში კერძო ავტომობილით მიიყვანეს. მისი მდგომარეობა მძიმეა.

„რენჯ როვერის“ მარკის ავტომობილზე 2 ტყვიის კვალი ემჩნევა.

ტვ პირველის ცნობით, დაჭრილი კანონიერი ქურდის გია კვარაცხელიას შვილია – 18 წლის ნიკა კვარაცხელია.

ნიკა კვარაცხელია სასიკვდილოდ, სავარაუდოდ, მისმა ახლო ნაცნობმა გაიმეტა. კონფლიქტი დაჭრილის სახლში დაიწყო და სისხლიანი გარჩევით ქუჩაში დასრულდა.

დამნაშავე ადგილიდან გაიქცა. დაჭრილი 18 წლის ბიჭი კი, რომელიც სისხლისგან იცლებოდა, საავადმყოფოში გამვლელებმა გადაიყვანეს.

იმ ადგილზე, სადაც დაჭრის ფაქტი მოხდა, 4 კამერა დგას და წესით, სამართალდამცველებს დამნაშავე იდენტიფიცირებული უნდა ჰყავდეთ.

– რომ გადმოვიდა ეს ბიჭი, 9 ტყვია დაახალეს, 2 გულში. ადგილობრივმა მცხოვრებელმა, პროფესორის შვილიშვილია ის ბიჭი, აიყვანა და მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანა. ვერ გეტყვით, ვინაა დაჭრილი, ახალი ნაყიდი აქვს აქ ბინა, – უყვება ტვ პირველს ადგილობრივი მცხოვრებელი.

მე-9 საავადმყოფოს ექიმის ინფორმაციით, დაჭრილს ოპერაცია ჩაუტარდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და მკურნალობას რეანიმაციულ განყოფილებაში გადის.

უკავშირდება თუ არა ნიკა კვარაცხელიას დაჭრის ფაქტი მისი მამის კრიმინალურ საქმიანობას, ამ ეტაპზე უცნობია.

გავრცელებული ინფორმაციით, კანონიერი ქურდი გია კვარაცხელია იტალიაში იმყოფება.

# პროკურატურამ 3 მოზარდის დაჭრის ფაქტზე არასრულწლოვანს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ არასრულწლოვნების დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, არასრულწლოვან ლ.შ.-ს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 13 სექტემბერს, თბილისში 14 წლის ლ.შ.-ს და მის მეგობარს შელაპარაკება მოუვიდათ 15 წლის ბ.ხ.-სთან, 13 წლის გ.ბ.-სთან და 17 წლის გ.ს.-სთან. ურთიერთშელაპარაკების დროს ლ.შ.-მ, მოკვლის განზრახვით, სამივე პირს დანით სხეულის სხვადასხვა არეში ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

„სამართალდამცველებმა ლ.შ. 14 სექტემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-2ბ და მე-3ა პუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩადენილი ორი ან მეტი პირის, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნების მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, 16 წლამდე ბრალდებულისთვის დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

# ავარია სამტრედიაში – 3 ადამიანი დაიღუპა

სამტრედიაში ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა, დაღუპულია 3 ადამიანი. შემთხვევა გუშინ, 15 სექტემბერს, დილით მოხდა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომანქანა და ტაქსი შეეჯახნენ.

ავარიის დროს დაღუპული დედა-შვილი და ტაქსის მძღოლი სენაკის მკვიდრები იყვნენ.

შვილს, ლილი ბაღათურიას, ონკოავადმყოფი დედა ტაქსით საავადმყოფოში მიჰყავდა და მათ სამტრედიაში მსუბუქი მანქანა დაეჯახა.

ლილი ბაღათურია და ტაქსის მძღოლი ადგილზე დაიღუპნენ, ხოლო ლილის დედა – საავადმყოფოში. ბაღათურიებს სენაკში ცნობილი საკონდიტრო „აპეტიტო“ აქვთ. გარდაცვლილ ქალს 2 შვილი დარჩა.

მომხდართან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება დაიწყო.

# ამერიკელ ჯარისკაცებს, რომლებიც ვაქცინაციაზე უარს აცხადებენ, დათხოვნა ემუქრებათ




ამერიკის არმიის ჯარისკაცები, რომლებიც უარს იტყვიან კორონავირუსის

საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე, შესაძლოა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან დროებით გაათავისუფლონ ან დაითხოვონ.

— ჯარისკაცები, რომლებიც ვაქცინაზე უარს იტყვიან, პირველ რიგში კონსულტაციას გაივლიან მეთაურებთან და სამედიცინო პროვაიდერებთან, თუმცა უარის გაგრძელების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ან არასასამართლო წესით გამოყენებადი სასჯელი შეიძლება გამოიწვიოს, მათ შორის, მოვალეობის შესრულებისგან დროებით გათავისუფლება ან დათხოვნა. ეს, ფაქტობრივად, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია ჩვენი ჯარისკაცებისთვის, მათი ოჯახებისა და იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, — განაცხადა აშშ-ის არმიის ექიმმა, გენერალმა რაიმონდ სკოტ დინგლმა.

აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაციამ აგვისტოში „ფაიზერ/ბიონტექის“ ვაქცინას სრული ავტორიზაცია მიანიჭა, რის შემდეგაც აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლოიდო სტინმა გამოსცა ბრძანება, რომ ყველა მოქმედი სამხედრო უნდა აიცრას.

აშშ-ის არმიაში აცხადებენ, რომ ამ ბრძანების შესრულება აგვისტოს ბოლოდან დაიწყეს. მათი განმარტებით, ჯარისკაცებს შეუძლიათ მოითხოვონ გამონაკლისის დაშვება ლეგიტიმური სამედიცინო, რელიგიური ან ადმინისტრაციული მიზეზების საფუძველზე.

# ლავროვი: „რუსეთი მზადაა, ნატოსთან დიალოგს ხელი შეუწყოს“



— ჩვენ მზად ვართ ვისაუბროთ, თუმცა პროფესიონალურად და არა ემოციურად.

ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, დუშანბეში საგარეო საქმეთა მინისტრების, თავდაცვის მინისტრებისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნების ერთობლივ შეხვედრაზე განუცხადა.

რუსი დიპლომატის თქმით, ნატო ამჟამად მოსკოვის დარწმუნებას ცდილობს, რათა მათ სამხედრო საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ ,,ვენის დოკუმენტს“ გადახედონ.

სერგეი ლავროვის განმარტებით, დასავლეთმა ბალანსი შეცვალა და ისინი ინსპექციების გამკაცრებას ცდილობენ, რაც მათთვის მისაღები არაა.

— თუკი ნატო ,,ვენის დოკუმენტის“ პირობებს გააუმჯობესებს, რუსეთი იმ პოზიციებს დაუბრუნდება, რაც მას 1990 წელს ეკავა. ამით კი, ერთმანეთისადმი ნდობის უკეთ უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი, — აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა.

,,ვენის დოკუმენტი“ ეუთოს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებაა, რომელიც შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციის გაცვლას ითვალისწინებს.

რუსეთი აღნიშნულ დოკუმენტს 1990 წელს შეუერთდა.

# იტალიაში საჯარო და კერძო სექტორის მუშაკებისთვის კოვიდ პასპორტი სავალდებულო ხდება



იტალიაში საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლებისთვის სამუშაო ადგილებზე ე.წ. „მწვანე საშვების“ წარდგენა სავალდებულო გახდება.

ამის შესახებ რეგიონულ საქმეთა მინისტრმა მარიასტელა ჯელმინიმ განაცხადა.

— მივდივართ იმისკენ, რომ „მწვანე საშვი“ სავალდებულო იყოს არა მხოლოდ საჯარო სექტორის, არამედ კერძო სექტორის თანამშრომლებისთვისაც. ვაქცინა არის ერთადერთი იარაღი, რომელიც კოვიდ 19-ის წინააღმდეგ გაგვაჩნია, ვირუსის გავრცელების შეკავება მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ვაქცინაციით შეგვიძლია, — აღნიშნა მინისტრმა.

ე.წ. „მწვანე საშვები“, ციფრული ან ქაღალდის სახით, რომელიც აჩვენებს, რომ მფლობელს მიღებული აქვს ვაქცინის მინიმუმ 1 დოზა, კოვიდ 19-ზე ჩატარებული ტესტის უარყოფითი პასუხი ან ვირუსისგან ახალი განკურნებულია, თავდაპირველად ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობის გაიოლების მიზნით შემოიღეს.

მოგვიანებით რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის იტალიაში, „მწვანე საშვების“ წარდგენა სავალდებულო გახდა ისეთ ხალხმრავალ საჯარო ადგილებში, როგორებიცაა მუზეუმები, დახურული ტიპის რესტორნები და სპორტდარბაზები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# უსახური ბარსელონა და რონალდუსთან მონდომებული იანგ ბოიზი




ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის პირველ სათამაშო დღეს 8 მატჩი გაიმართა.

**ე ჯგუფი**

**<u>ბარსელონა-ბაიერნი 0:3</u>**

**ბარსელონა. ნოუ კამპი**

0:1 მიულერი (34), 0:2, 0:3 ლევანდოვსკი (56, 85)

ლეო მესის გარეშე დარჩენილმა ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგაში ახალი ეპოქა ბაიერნთან 0:3 დამარცხებით დაიწყო. ამასთან, საკუთარ მოედანზე. გულშემატკივარს უნებლიეთ, მაინც გაახსენდებოდა 2019-20 წლების გათამაშების მეოთხედფინალი ლისაბონში, როდესაც ბავარიელებმა კატალონიელებს 8:2 მოუგეს.

„რეკორდმაისტერის“ მთავარი გმირი რობერტ ლევანდოვსკი იყო, რომელმაც 3-დან 2 გოლი გაუტანა მეტოქეს.

ანგარიში კი თომას მიულერის გოლით გაიხსნა — გერმანელთა ვეტერანმა საჯარიმოს გარედან დაარტყა, ბურთი გზად ერიკ გარსიას მოხვდა, გეზი შეიცვალა და მასპინძლების კარში შევარდა.

ლევანდოვკის გოლები კი, თითქმის იდენტური გამოდგა: 56-ე წუთზე ჯამალ მუსიალას დარტყმული ძელს მოხვდა, ასხლეტილს კი, ლევანდოვსკიმ კარში მიუჩინა ადგილი; 85-ე წუთზე ისევ ძელს ასხლეტილი ბურთი პოლონელმა მოიგდო, დაამუშავა და კატალონიელების კარში შეაგდო.

**<u>დინამო (კ)-ბენფიკა 0:0</u>**

**კიევი. ოლიმპიური**

კიევის დინამო შინ ბენფიკასთან უგოლო ფრეს დასჯერდა. არადა, მატჩის ბოლოს 3 ქულის აღებაც შეეძლო: უკრაინელებმა ბურთი ძელს ორჯერ გაარტყეს, ხოლო მსაჯის მიერ კონპენსირებულ მესამე წუთზე შაპარენკოს გოლი თამაშგარეს გამო არ ჩაუთვალეს.

**ფ ჯგუფი**

**<u>იანგ ბოიზი-მანჩესტერი 2:1</u>**

**ბერნი. ვანკდორფი**

0:1 რონალდო (13), 1:1 ნგამალე (66), 2:1 სიბაჩო (90)

**გაძევება:** ვან ბისაკა (მანჩესტერი)

მანჩესტერი, რომელიც ამ წყვილის უდავო ფავორიტად ითვლებოდა, სტუმრად იანგ ბოიზთან 1:2 დამარცხდა და შინ რომ უქულოდ დაბრუნდა, საკუთარ თავსა და მთავარ მწვრთნელ ოლე გუნარ სოლსკიაერს უნდა დააბრალოს.

არადა, მე-13 წუთზე კრიშტიანუ რონალდუმ სტუმრები დააწინაურა. თუმცა, 35-ე წუთზე მისი თანაგუნდელი ვან ბისაკა მსაჯმა უხეშობისთვის მოედნიდან გააძევა, რითიც შვეიცარიელებმა ისარგებლეს.

ჯერ ნგამალემ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო კომპენსირებულ დროში სიბაჩომ ლინგარდის უხეში შეცდომით ისარგებლა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

მანჩესტერმა ჩემპიონთა ლიგის ბოლო 5 შეხვედრიდან 4 წააგო და 1 მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ისტორიის მანძილზე იანგ ბოიზს ჩემპიონთა ლიგაში სულ 2 მოგება აქვს და ორივე რონალდუს გუნდს მოუგო — 2018-19 წლის სეზონში ტურინის იუვენტუსს და ახლა მანჩესტერს. ორივე ერთნაირი ანგარიშით.

რონალდუმ ტურნირზე 177-ე მატჩი ჩაატარა და იკერ კასილიასის რეკორდი გაიმეორა; პორტუგალიელმა ჩემპიონთა ლიგაში 36-ე გუნდს გაუტანა და ამ მაჩვენებლით ლეო მესის დაეწია; კრიშტიანუმ ზედიზედ მე-16 სეზონში გაიტანა და მესისა და ბენზემას გაუთანაბრდა, თუმცა, არგენტინელიც და ფრანგიც ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ და პორტუგალიელის უკან მოტოვება რთული საქმე არ უნდა იყოს.

**<u>ვილიარეალი-ატალანტა 2:2</u>**

**ვილიარეალი. სერამიკა**

0:1 ფროილერი (6), 1:1 ტრიგეროსი (39), 2:1 გრუნეველდი (73), 2:2 გოსენსი (83)

**გაძევება:** კოკლენი (ვილიარეალი)

გოლებით ხვავრიელი გამოდგა ვილიარეალისა და ატალანტას ჯახი, სადაც გუნდებმა ქულები გაიყვეს.

საინტერესო მატჩში ჯერ ატალანტა დაწინაურდა, შემდეგ უკვე ესპანური გუნდი იგებდა. მატჩის მიწურულს კი, ბერგამოელებმა მაინც გაათანაბრეს და ჯგუფში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა.

**ჯ ჯგუფი**

**<u>სევილია-ზალცბურგი 1:1</u>**

**სევილია. სანჩეს პისხუანი**

0:1 სუშიჩი (21პ), 1:1 რაკიტიჩი (42პ)

გამოუყენებელი პენალტი: ადეიემი (ზალცბურგი), სუშიჩი (ზალცბურგი)

**გაძევება:** ენ-ნესირი (სევილია)

სევილიის „რამონ სანჩეს პისხუანზე“ ნამდვილად ისტორიული მატჩი შედგა. პირველ ტაიმში, 29 წუთის განმავლობაში ბელარუსმა მსაჯმა კულბაკოვმა 4 პენალტი დანიშნა, რაც აქამდე ჩემპიონთა ლიგის ერთ მატჩში არასდროს მომხდარა.

**მშრალი ქრონოლოგია ასეთი გახლავთ:**

**მე-11 წუთი:** სევილიელი დიეგო კარლოსი საკუთარ საჯარიმოში სტუმარი ზალცბურგის შემტევ კარიმ ადეიემს ეუხეშა. პენალტი თავად დაზარალებულმა დაარტყა და ბურთი კარს ააცილა.

**21-ე წუთი:** ადეიემე ამჯერად ხესუს ნავასმა წააქცია, პენალტი კი გოლად ლუკა სუჩიჩმა აქცია და ავსტრიელები დააწინაურა.

**37-ე წუთი:** სევილიელებმა საჯარიმოში ისევ ადეიემე წააქციეს. ბურთთან ისევ სუჩიჩი მივიდა და... ძელი.

**42-ე წუთი:** ახლა მასპინძელთა ჯერი დადგა. ავსტრიელებმა საჯარიმოში იუსეფ ენ ნასერის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ და ივან რაკიტიჩმა აუღელვებლად გაათანაბრა ანგარიში.

მეტი გოლი აღარც გასულა.

**<u>ლილი-ვოლფსბურგი 0:0</u>**

**ლილი. პიერ მაროუ**

**გაძევება:** ბრუკსი (ვოლფსბურგი)

მეორე მატჩი, რომელიც პირველ სათამაშო დღეს უგოლოდ დასრულდა ლილისა და ვოლფსბურგის დაპირისპირება იყო.

მატჩის ბოლო წუთზე მსაჯმა კაცნაკლული ვოლფსბურგის კარში პენალტი კი დანიშნა, მაგრამ ვიდეორეფერის ჩარევის შემდეგ გააუქმა და ამით გერმანელები გაახარა.

**ჰ ჯგუფი**

**<u>ჩელსი-ზენიტი 1:0</u>**

**ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი**

1:0 ლუკაკუ (69)

ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონის მომგებმა ჩელსიმ, ახალი სეზონი მძიმე გამარჯვებით დაიწყო. „არისტოკრატებმა“ შინ ზენიტს რომელუ ლუკაკუს ერთადერთი გოლის წყალობით მოუგეს.

**<u>მალმიო-იუვენტუსი 0:3</u>**

**მალმიო. ელედა**

0:1 ალექს სანდრო (23), 0:2 დიბალა (45პ), 0:3 მორატა (45)

ტურინის იუვენტუსმა მალმიოს სტუმრად დიდი ანგარიშით აჯობა.

ანგარიში ალექს სანდრომ გახსნა, ხოლო დიბალამ და მორატამ გოლები ერთწუთიან მონაკვეთში გაიტანეს და მეტოქეს პირველივე ტაიმში მოუთავეს საქმე.

იტალიელებმა მე-2 ტაიმში თამაში არ გაამწვავეს და მშვიდად მოიგეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა წონაში 21 კილოგრამი დაიკლო და ცოლთან განქორწინება მოითხოვა



ინდოეთის ხარიანის შტატის ქალაქ ხისარში სასამართლომ დააკმაყოფილა მამაკაცის სარჩელი, რომელმაც დაქორწინების შემდეგ წონაში 21 კილოგრამი დაიკლო. მან ამაში ცოლი დაადანაშაულა მისი სასტიკი და ფეთქებადი ხასიათის გამო და განქორწინება მოითხოვა.

წყვილმა 2012 წელს იქორწინა და გოგონა შეეძინათ. მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, ამტკიცებდა, რომ მისი მეუღლე ფეთქებადი ხასიათისა და მფლანგველი იყო. მას არასოდეს უცდია მის ნათესავებთან ურთიერთობის დალაგება. მისი თქმით, ქალი ხშირად ჩხუბობდა სულ უმნიშვნელო რამეზეც კი და ამის გამო თავად თავს ნათესავების წინაშე დამცირებულად გრძნობდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ის ხმას არ იღებდა იმის იმედით, რომ ცოლი მომავალში დამშვიდდებოდა და გონს მოეგებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა.

მაშინ მამაკაცმა მეუღლე სისასტიკეში დაადანაშაულა და მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მისი თქმით, ის დაქორწინებამდე 74 კილოგრამს იწონიდა, მაგრამ მას შემდეგ წონაში დაიკლო და ახლა მისი წონა 53 კილოგრამს არ აღემატება. მამაკაცი წონაში ასეთ დაკლებას ცოლის მხრიდან მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ძალადობას მიაწერდა.

ბრალდებული კი ამ დროს ამტკიცებდა, რომ ყოველთვის ასრულებდა საკუთარ მოვალეობას და მეუღლეს სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა, ხოლო ამის საპასუხოდ ქმარი სისასტიკეს იჩენდა.

საქმის სასამართლო განხილვის დროს გაირკვა, რომ ცოლმა ქმარი 2016 წელს მიატოვა და დაუტოვა გოგონა, რომლის მონახულება ერთხელაც კი არ უცდია. ქალმა სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინებასთან დაკავშირებით გაასაჩივრა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მას უარი უთხრა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადება

**საუდის არაბეთის საელჩო საქართველოში, თბილისში, აცხადებს კონკურსს საელჩოს რეზიდენციის დასუფთავების, დალაგების, შეკეთების, მოწესრიგების სერვისებზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: (+995322009504 +995322009505)**

# ეროვნული ლიგა საინტერესო მატჩებით გაგრძელდება



დღეს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის, ეროვნული ლიგის 24-ე ტურის მატჩები გაიმართება. იქიდან გამომდინარე, რომ კოვიდ-პანდემიის გამო ჩვენი ჩემპიონატის დაახლოებით ერთი თვე შეწყვეტილი იყო, ტურის ყველა მატჩი ერთ დღეს გაიმართება.

**16 სექტემბერი**

**სამგურალი-სამტრედია**

**16:30. წყალტუბო. 26 მაისი**

სამგურალი ცხრილის შუაშია. იმერული გუნდი 8 ქულით ჩამორჩება ევროტურნირების ზონას და ამდენივე ქულა ფლეი აუტში ჩასასვლელად აშორებს. ცხადია, ასეთ სიტუაციაში გუნდი თავს მშვიდად ვერ იგრძნობს და ქულების მოგროვებას ბოლოადგილოსან სამტრედიასთან ეცდება.

თავის მხრივ, სამტრედია ბოლო დროს მოძლიერდა. გია ცეცაძემ ჯერ საქართველოს ნაკრებში ნათამაშები გიორგი არაბიძე დაიმატა, ახლახან კი, კონტრაქტი ეროვნული გუნდის მაისურის რამდენჯერმე მომრგებ ბაჩანა არაბულს გაუფორმა. შედეგად, გუნდს ამბიციები გაუჩნდა და სეზონის ბოლომდე საშიში ადგილიდან თავის დაღწევას ეცდება.

**დინამო (ბთ)-ლოკომოტივი**

**19:00. ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

ზღვისპირული გუნდი ეროვნულ ლიგას ლიდერობს და ადგილის შენარჩუნებას ლოკომოტივთან მატჩშიც შეეცდება. გია გეგუჩაძის გუნდი ამ ეტაპზე საქართველოში საუკეთესოდ მოჩანს, მაგრამ ქულების უაზროდ განიავება რომ სჩვევია, ამას განვლილი მატჩებიც ადასტურებს. აქედან გამომდინარე ბათუმელებს მთელი კონცენტრაციით თამაში მართებთ, რადგან მეტოქე საქართველოს პირველობისთვის ხელწამოსაკრავი სულაც არ არის.

ლოკომოტივსაც სჩვევია ფავორიტებთან თამაში. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი ახლაც იგივეს შეეცდება, რადგან დაკარგული ქულები, შესაძლოა, ევროტურნირების დაკარგვად დაუჯდეთ.

**საბურთალო-თელავი**

**20:00. თბილისი. მიხეილ მესხი**

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს მიხეილ მესხზე, რადგან ორივე გუნდს სხვადასხვა სახის ამოცანა აქვთ გადასაჭრელი. მართალია, ფავორიტად საბურთალო ითვლება, მაგრამ კახურმა გუნდმა წინა ტურში თბილისის დინამო დაამარცხა, რითიც „განაცხადა", რომ ფავორიტებთან თამაში არ აშინებს.

თავის მხრივ, აუტსაიდერთან წაფორხილება დედაქალაქური გუნდის გეგმებში არ ჯდება. ვნახოთ, რამდენად გადაჭრიან ამოცანას ხვიჩა შუბითიძის შეგირდები.

**ტორპედო-შუქურა**

**21:00. ქუთაისი. რამაზ შენგელია**

აუტსაიდერების ჯახი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს ორივე გუნდის სატურნირო მდგომარეობა. 3 ქულა როგორც იმერლებისთვის, ასევე აჭარლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სეზონის დასაწყისში შუქურა უკეთ გამოიყურებოდა, ხოლო ტორპედოს ფინანსური პრობლემები ჰქონდა. თუმცა, ახლა სიტუაცია შეიცვალა – რიონისპირული გუნდი ცხრილში დაწინაურდა, მაგრამ მშვიდად ყოფნის უფლება ნამდვილად არ აქვს.

**დინამო (თბ)-დილა**

**21:00. თბილისი. დინამო არენა**

ორივე გუნდი ერთმანეთან ჯახს მარცხით ხვდება. ქულები კი, ორივე მათგანს სჭირდება. დინამო საჩემპიონო ბრძოლაშია ჩართული, ხოლო დილას მედლებისა და ევროტურნირების საგზურის მოპოვების შანსი აქვს.

ფავორიტი დინამოა, მაგრამ გორელებმა მათი ეს სტატუსი რამდენჯერმე დაამსხვრიეს და იგივეს გამეორებას „დინამო არენაზე" კიდევ ერთხელ შეეცდება.

თუ დინამომ ისევ დაკარგა ქულები, ხოლო კონკურენტმა ბათუმის დინამომ მოიგო, დედაქალაქელთა შანსი კიდევ უფრო შემცირდება, რაც კახა ცხადაძის გეგმებში ნამდვილად არ ზის.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 23 | 13 | 8 | 2 | 43-17 | 47 |
| 2.დინამო (თბ) | 23 | 14 | 2 | 7 | 34-19 | 44 |
| 3.დილა | 23 | 11 | 5 | 7 | 28-23 | 38 |
| 4.საბურთალო | 23 | 9 | 9 | 5 | 33-24 | 36 |
| 5.ლოკომოტივი | 23 | 11 | 3 | 9 | 37-3 | 36 |
| 6.სამგურალი | 23 | 7 | 9 | 7 | 22-26 | 30 |
| 7.თელავი | 23 | 6 | 7 | 10 | 20-34 | 25 |
| 8.ტორპედო | 23 | 4 | 10 | 9 | 20-26 | 22 |
| 9.შუქურა | 23 | 4 | 9 | 10 | 18-29 | 21 |
| 10.სამტრედია | 23 | 3 | 4 | 16 | 20-43 | 13 |

# საქართველოს ქალთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება

17 სექტემბერს საქართველოს ქალთა საფეხბურთო ნაკრებს 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა დაეწყო, მაგრამ ირლანდიასთან საკუთარ მოედანზე ჩანიშნული მატჩი, კოვიდ-რეგულაციების გათვალისწინებით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, 2022 წლის ივნისისთვის გადაიდო.



გიორგი ჩხაიძის გუნდთან ერთად, ირლანდიელთა გარდა, A ჯგუფში სლოვაკეთის, ფინეთისა და შვედეთის ნაკრებებიც ასპარეზობენ.

სწორედ შვედეთთან მატჩით გახსნის ჩვენი ეროვნული გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპს. ნაკრებთან, რომელიც 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორია. სკანდინაველებმა გადამწყვეტი მატჩი პენალტების სერიაში დათმეს კანადასთან.

წლის პირველი ოფიციალური მატჩისთვის გიორგი ჩხაიძის გუნდი თბილისში ემზადება. საქართველოს ქალთა ნაკრებმა საწვრთნელი შეკრება 9 სექტემბერს დაიწყო. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით შვედეთის წინააღმდეგ სათამაშოდ 22 ფეხბურთელი მოემზადება.

**საქართველოს ქალთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** თათია გაბუნია (ლანჩხუთი), თეონა სუხაშვილი (კვარტალი), ეკა თაბაგარი (კოლხეთი ხ);

**მცველები:** ნინო ჩხარტიშვილი, მარიამ კალანდაძე (ორივე ლანჩხუთი), ანა ძაძუა, ნინო სუთიძე (ორივე კვარტალი), თამარ ტატუაშვილი (ამორა, პორტუგალია), მაია ბებია, ანი აკობიძე (ნიკე);

**ნახევარმცველები:** თეონა თოდაძე, ირინა ხაბურზანია, თეონა ბაქრაძე (ყველა ლანჩხუთი), ელენე კახნიაშვილი (ნორჩი დინამო), ანასტასია ბოლქვაძე, ნინო პასიკაშვილი, ნათია დანელია (ყველა კვარტალი), ლანა გორგაძე (მართვე), ტატა მატვეევა (კრივბასი, უკრაინა);

**თავდამსხმელები:** ლელა ჭიჭინაძე (ნიკე), ხატია ჭყონია (ლანჩხუთი), ეთერ სულაშვილი (გორი-იუნაიტედი).

შვედეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირება 21 სექტემბერს გეტებორგის „ულევის" სტადიონზე 20:30 საათზე დაიწყება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



## დავით გვაძაბიას ხსოვნას

60 წლის მეგობრობა, რამდენი სიხარული, მწარე დღეებიც კი აფხაზეთის დაკარგვის გამო, ერთად ვიდექით მის სადარაჯოზე. ოჯახის წევრების მერე პირველ კაცად მყავდი... მორჩა ყველაფერი, დარჩა წარსული. ამ ძნელბედობის დღეს ვუსამძიმრებ შენს შვილებს... ყველას. მომავალ შეხვედრამდე ზეცაში, ჩემო დათუნია.

*ნოდარი ხასაია ოჯახით*

## დავით გვაძაბიას

ძნელია სიტყვების პოვნა იმ ტკივილის გამოსახატად, რაც აფხაზეთის საზოგადოებას ბატონი დავით დავითის ძე გვაძაბიას მოულოდნელმა გარდაცვალებამ მოგვანიჭა. ბატონი დავით გვაძაბია არის ადამიანი, რომელმაც სიკვდილი დაამარცხა, რადგან მისი სახელი, მისი ღირსეული და პატივსაცემი ნაბიჯები მარადიულად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. დავით გვაძაბია იყო აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, გულრიფშის რ-ნის ყოფილი გამგებელი, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენოსანი, პოლკოვნიკი. ის გახლდათ სამშობლოსთვის თავდადებული პატრიოტი, აფხაზეთის საზოგადო მოღვაწე, ღირსეულად და მტკიცედ იდგა მართალი სიტყვის და საქმის სადარაჯოზე. აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს ბოლო წუთამდე გვერდში ედგა თანამებრძოლებს, ომის შემდგომ კი დაუღალავად იბრძოდა აფხაზეთში დაბრუნების საქმისთვის. წარმოუდგენლად მძიმეა ეს ტრაგედია დავით გვაძაბიას დიდი ოჯახისთვის, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დავითის მეუღლე – აფხაზეთის დამსახურებული ექიმი-პედიატრი, სათნოებით და სიკეთით გამორჩეული ქალბატონი ანჟელა გვათუა დაკარგა. მარადიული ხსოვნა მათ სულებს! ვუსამძიმრებთ ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და სრულიად აფხაზეთის საზოგადოებას.

*მეგობრები და ახლობლები*

სოხუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის 1973-74 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი, წალენჯიხის რაიონის საჩინოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, საზოგადო მოღვაწე

## ლევთერ მიქავა

და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს.

*თანაკურსელები*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# შედეგები

**14 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბარსელონა-ბაიერნი ..................... 0:3
დინამო (კ)-ბენფიკა ..................... 0:0
იანგ ბოიზი-მანჩესტერი ................ 2:1
ვილიარეალი-ატალანტა ................ 2:2
სევილია-ზალცბურგი .................... 1:1
ლილი-ვოლფსბურგი ..................... 0:0
ჩელსი-ზენიტი ............................ 1:0
მალმიო-იუვენტუსი ...................... 0:3

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა წლების განმავლობაში ამზადებს ბუნებრივ პროდუქტებზე წამლებს, მალამოებს, ლოსიონის, ორგანიზმის გასაწმენდ ნაყენებს.**

ყველა წამალი არის ბუნებრივი და მორჩენის 100%-იანი გარანტიით.

ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მკურნალობა ხდება უშუალოდ დაავადებისთვის დამზადებული სხვადასხვა მალამოთი და ლოსიონით.

**მოგირჩენთ:**

**თმის ცვენა** – მის მოსარჩენად საჭიროა ლოსიონისა და მალამოს გამოყენება;
**ტილების მოსაშორებლად** – ლოსიონი;
**კოღოსა და მწერების ნაკბენისთვის** – მალამო, რომელსაც აქვს სწრაფი ეფექტი;
**ნაწოლებისთვის** – მალამო, ლოსიონი;
**ჰაიმორიტისთვის** – ლოსიონი, მალამო;
**დამწვრობისთვის** – ლოსიონი, მალამო;
**ბუასილისთვის** – სანთლები, მალამო;
**მარილებისთვის** – ორგანიზმის გამწმენდი დასალევი სითხე;
**სოკოვანი დაავადებისთვის** – აბაზანები, მალამო;

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კურორტი ბორჯომის რაიონში; 2. ბაბილონის მეფე, პირველი კანონების შემქმნელი; 3. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 4. მომაბეზრებელი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი; 5. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 8. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 13. ჭარხლისგან შაქრის მიმღები აპარატი; 14. მთიანეთი აზიაში; 16. წმინდა ოქრო; 18. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 20. რძის პროდუქტი.

**თარაზულად:** 6. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 7. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 8. გარდაუვალი ბედისწერა; 9. მე-19 საუკუნის ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე; 10. უღელტეხილი კავკასიონზე; 11. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. მოგონილი, შეთხზული რამე; 19. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 21. საქართველოს ეროვნული გმირი; 22. მეცნიერება უჯრედების აგებულების, განვითარებისა და ფუნქციების შესახებ; 23. წითელ ღვინოში ჩამბალი პურისგან მომზადებული შეჭამანდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. კრიკი; 3. ვალენსია; 4. ბროკოლი; 5. შინჰოფერი; 9. ავერსი; 12. ბოზბაში; 14. ქულამა; 15. რაჯა; 17. ბრიჯი; 18. იკაო.

**თარაზულად:** 6. თექურა; 7. გაგარინი; 8. ოპტიკა; 10. ვოლვო; 11. ნაცარქექია; 13. ექსპრესი; 16. ხოხობი; 19. კარავაჯო; 20. ვაპორეტო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბუკლეტი; 2. ტალავარი; 3. ნობათი; 4. გოქჩა; 5. ნიკოლაძე; 8. კარაკასი; 12. არქი; 13. ტრაქტატი; 14. ანდები; 16. სიმეონე; 18. ბრერა; 20. დუმა.

**თარაზულად:** 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. კახასა; 9. ფეოლა; 10. პარალიზი; 11. ბუზალაძე; 15. ბრიჯსტოუნი; 17. მიზანი; 19. ბაღდავაძე; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. კავსაძე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1129

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3039

ევრო — 3.6822

100 რუსული რუბლი — 4.2846

## ამინდის პროგნოზი 16 სექტემბრისათვის




## ლაპორტა რონალდ კუმანის გაშვებაზე დაფიქრდა



ბარსელონას პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა რონალდ კუმანის მუშაობით უკმაყოფილოა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდმა საკუთარ მოედანზე ბაიერნთან სრულიად უსახური თამაში აჩვენა და დამსახურებულად წააგო.

კუმანის მაგივრად ლაპორტა რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს, თუმცა, სავარაუდოდ, ჰოლანდიელ სპეციალისტს ცოტა ხანი კიდევ აცდიან მუშაობას და ბარსელონას ხელმძღვანელობა ნაჩქარევ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

## კარიმ ბენზემა: „ვინიციუსი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია“



რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ახალგაზრდა ბრაზილიელ შემტევზე ვინიციუს ჯუნიორზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და მომავალში რეალს ბევრ წარმატებას მოუტანს:

– როდესაც ვინიციუსის თამაშს ვუყურებ, მისით აღფრთოვანებული ვარ და ვიცი, რომ ის ჩვენი გუნდის ლიდერი გახდება. წლევანდელ სეზონში მან უკვე აჩვენა თავისი შესაძლებლობები.

## ტომას ტუხელმა ზენიტთან შეხვედრა შეაფასა



ლონდონის ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა ზენიტთან შეხვედრა შეაფასა და თქვა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა, თუმცა თამაშის ხარისხი უკეთესიც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო:

– ზენიტს ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს და არ გამკვირვებია, რომ მათ წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თუმცა ჩვენც შეგვეძლო, უკეთ გვეთამაშა. სეზონი ახალი დაწყებულია და დრო ბევრი გვაქვს, რომ თამაშის ხარისხი გავაუმჯობესოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ტუალეტში გასული ბიჭი ვეფხვის მსხვერპლი გახდა



ინდოეთის კარნატაკის შტატში ტუალეტში გასულმა მოზარდმა სიცოცხლე ვეფხვის კლანჭებში დაასრულა.

სოფელ ლიანკერეს მკვიდრი 13 წლის ბიჭი, სახელად განეში, დილით გარეთ გავიდა ტუალეტში ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. როდესაც ბიჭი უკან აღარ დაბრუნდა, ოჯახის წევრები მის ძებნას შეუდგნენ და მის გვამს ტყეში მიაგნეს.

მცირე ხნით ადრე ადგილობრივებმა იმ ადგილებში ვეფხვის ნაკვალევი ნახეს. ისინი ფიქრობენ, რომ ბიჭს იგივე მტაცებელი დაესხა თავს და დაგლიჯა.

დაღუპულ ბავშვს დარჩა მშობლები, ხუთი და და ოთხი ძმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

მამა შვილს ეუბნება:

– წადი და სიგარეტი მომიტანე.

– ფული მომეცი.

– ფულით სულელიც კი მოიტანს.

შვილი წავიდა და გახსნილი კოლოფი მიუტანა, მამამ ნახა კოლოფი ცარიელია და ეუბნება:

– ეს ხომ ცარიელია.

– სავსეს ხომ სულელიც მოწევს.

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მე შენ მომწონხარ.

– მე კი არა!

– აი ხედავ, ორივეს როგორი ცუდი გემოვნება გვაქვს...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დიეტაზე დავჯექი, ასე რომ, მხოლოდ ლობსტერებს, ტრიუფელებს და ომარებს შევჭამ!

– რატომ წვალობ საყვარელო! პირდაპირ ფულის ჭამაზე გადადი!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, გეიგე, ჩვენი აფრასიონას გოგო გათხოვდა.

– ვის გაჰყვა ცოლად?

– წინასწარმეტყველს.

– ეგ რაია?

– რა და მომავალს რო ხედავს.

– მაი მომავალს რო ხედავდეს, აფრასიონას გოგოს რავა მოიყვანდა ცოლად!

•••

სასადილოში კლიენტი მზარეულს ეკითხება:

– აჯიკა გაქვთ?

–არა.

– წიწაკა?

– არა.

– პილპილი?

– არც ეგ გვაქვს.

– აბა, მაშინ მოდი და მიკბინე, გამწარებული მაინც შევჭამ ამ საჭმელს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## თაკო ჩორგოლაშვილი „დილა მშვიდობისა საქართველოს“ წამყვანია



ჟურნალისტმა თაკო ჩორგოლაშვილმა წინა სატელევიზიო სეზონზე „იმედიდან“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში გადმოინაცვლა და გადაცემა „ექიმების“ ჟურნალისტი გახდა.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილე ახალი სატელევიზიო სეზონიდან გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველოს“ წამყვანია.

ის ზურა გორგაძესთან ერთად „რუსთავი 2“-ის დილის მაყურებელს სხვადასხვა სიახლეებს გააცნობს.

## „რანინას“ მეოთხე სეზონი დაიწყო



საზოგადოებრივ მაუწყებელზე მუსიკალურმა შოუმ „რანინა“ მეოთხე სეზონი დაიწყო.

ყოველ შაბათს პირველი არხის ეთერში საქართველო გაიცნობს მომღერალ ბავშვებს, რომლებიც პროექტის რჩეულის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებენ. მათ მუსიკალურ სამყაროში ცნობილი მომღერლები, კომპოზიტორები, პროდიუსერები შეაფასებენ.

„რანინას“ გამარჯვებული საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარადგენს.

## პაატა ნაცვლიშვილმა პრემია „საგურამოზე“ უარი თქვა



ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა უარი საჯაროდ განაცხადა ილია ჭავჭავაძის პრემია „საგურამო 2021“-ზე, რომელიც კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში მიენიჭა:

– რაკი ჩემი მცდელობის მიუხედავად, ვერ გავიგე, ვინ და როდის წარმადგინა საგურამოს პრემიაზე, ან კონკრეტულად რაში, რა დამსახურებისათვის მომანიჭეს იგი ასეთი სახით, იძულებული ვარ, უარი ვთქვა ამ პატივზე. ამავე დროს, გულწრფელად ვულოცავ საგურამოს პრემიის ყველა წლევანდელ ლაურეატს.

ჟურნალისტის გადაწყვეტილებას პრემია „საგურამოს“ კომისია გამოეხმაურა:

– ბატონმა პაატა ნაცვლიშვილმა თავის ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც საზოგადოებას ატყობინებს, რომ უარს ამბობს პრემია „საგურამოს“ მიღებაზე, რადგან ვერ გაარკვია, თუ ვინ და რა დამსახურებისათვის წარადგინა იგი ამ პრემიაზე.

ცნობისათვის: პრემია „საგურამო“ 2003 წელს დააარსეს „ილიას ფონდმა“ და შპს „ლილო მოლმა“. პრემია გაიცემა ყოველწლიურად, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, 8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში.

წელს მე-18 წელია, რაც პრემია გაიცემა. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს არ მიეღო იგი მადლიერების გარეშე. მართალია, პრემიის საპრიზო ფონდი არ გამოირჩევა სოლიდური თანხით, მაგრამ მისი პრესტიჟი გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე ეს შეიძლება თანხით გამოხატულიყო.

პრემიაზე წარდგენის უფლება ნებისმიერ ინსტიტუციას აქვს და, მათ შორის, კომისიის წევრებსაც. კენჭისყრა ფარულია.

კომისიამ მიიჩნია, რომ ისეთი პუბლიცისტი, პოეტი, ჟურნალისტი, დოკუმენტალისტი, მეცნიერი, როგორიცაა პაატა ნაცვლიშვილი, იმსახურებს ილიას სახელთან დაკავშირებულ პრემიას კრიტიკა-პუბლიცისტიკაში. ამ ნომინაციაში პრემია, ვფიქრობთ, საკმაოდ პრესტიჟულია.

როგორც ჩანს, ბატონ პაატას მოკრძალებული წარმოდგენა ჰქონია თავის ღვაწლზე ამ დარგში, რაც, ვფიქრობთ, მართალი არ არის. ისე, ჩვენ პატივს ვცემთ მის არჩევანსა და გადაწყვეტილებას.

ვულოცავთ პრემიის მიღებას ყველას, ვისაც მისი უარყოფის სურვილი არ გასჩენია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## მეგობართან სტუმრად წასული ქალი გამდიდრდა



ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ბალტიმორის მცხოვრები ქალი დაქალთან სტუმრად წავიდა და 50 ათასი დოლარით გამდიდრდა.

73 წლის ქალის თქმით, მეგობრის სახლიდან გამოსულმა მაღაზია შენიშნა, რომელშიც ლატარიის ბილეთები იყიდებოდა.

– მომენტალური ლატარიის თამაში მიყვარს და გადავწყვიტე მენახა, მათაც ჰქონდათ თუ არა ასეთი ბილეთები, – განაცხადა ქალმა.

ქალმა ხუთდოლარიანი ბილეთი შეიძინა და მაღაზიაშივე გადაფხიკა დამცავი ფენა.

– გავოგნდი, როდესაც ვნახე, რომ 50 ათასი დოლარი მოვიგე. გადავწყვიტე შემემოწმებინა, ხომ არ ვცდებოდი, – განმარტა ამერიკელმა.

ის უზომოდ გახარებული დარჩა, როდესაც მაღაზიის თანამშრომელმა დაუდასტურა, რომ მან სოლიდური თანხა მოიგო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 16 სექტემბრისათვის

**ვერძი** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **კურო** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **კირჩხიბი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **ლომი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ქალწული** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **სასწორი** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **მორიელი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მერწყული** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს. **თევზები** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბრაზილიური ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 2. გრძელყელიანი გოგრის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ ქვევრისგან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს; 3. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება სკანდინავიაში; 4. ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. გადასახადებისგან განთავისუფლებული გლეხი ძველად საქართველოში; 14. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 15. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 17. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 18. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში.

**თარაზულად:** 6. წყალხმელეთა ცხოველი; 7. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 8. თურქი ჯარისკაცი; 10. ქალაქი ესტონეთში; 11. „შაჰნამეს“ ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიგა ფენა; 19. მეტროს სადგური თბილისში; 20. რაიონული ცენტრი საინგილოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

